ქ. მარქსის სახ. საქ. [illegible] სახელმწიფო [illegible] ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის
1920 წლის
3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979
წელი
შაბათი
7
აპრილი
№ 81
(17426)
□
ფასი
2 კაპ.

მეცხოველეობის პროდუქტებზე მოსახლეობის მოთხოვნილებანი მთლიანად ვერ კმაყოფილდება, ამიტომ განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ ამ დარგის დაჩქარებულ განვითარებას. 1979 წლისათვის დასახულია ამოცანა—გავაორკეცოთ ხორცის წარმოების მატება.

ლ. ი. ბრეჟნევი

ქ. მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1979 წლის 2 მარტს წარმოთქმული სიტყვიდან.

საქართველოს შეუძლია გახდეს, უნდა გახდეს და კიდევაც გახდება მაღალგანვითარებული მეცხოველეობის რესპუბლიკა!

გავაორკეცოთ ხორცის წარმოების მატება!

საქართველოს რომ შეუძლია გახდეს, უნდა გახდეს და კიდევაც რომ გახდება მაღალგანვითარებული მეცხოველეობის რესპუბლიკა! — გაბედულად ითქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის XVIII პლენუმზე. მას შემდეგ გასულმა დრომ დაადასტურა ამ პლენუმზე მიღებული დადგენილების ცხოველმყოფელობა. უამინდობით გამოწვეული სიძნელეების მიუხედავად რესპუბლიკაში აღმავლობის გზას ადგას მეცხოველეობის საქმე.

მეცხოველეობაში ერთგვარი წარმატებები მიღწეულია, მაგრამ მოსახლეობის მოთხოვნილებანი მეცხოველეობის პროდუქტებზე ჯერ კიდევ ვერ კმაყოფილდება.

ხორცის წარმოების გასადიდებლად დიდი და მისაბაძი თაოსნობა წამოიწყეს მახარაძელებმა, რომელიც მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა.

შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინეს თიანეთის რაიონის ახალგაზრდებმა. თაოსნობის შესახებ წერილი ამ დღეებში გაზეთ „კომუნისტში" დაიბეჭდა. მათ გადაწყვიტეს, რომ წლეულს დაამზადონ საჭიროზე გაცილებით მეტი პირუტყვის საკვები, შეაკეთონ ფერმები, ააშენონ ახალი სადგომები. ამასთანავე მათ დედაქალაქელ სტუდენტებს მოუწოდეს კომკავშირული ზრუნვა გამოიჩინონ მეცხოველეობისადმი, ზაფხულის არდადეგების დროს მთის რაიონების მეცხოველეებს მიეხმარონ პირუტყვის საკვების დაგროვებასა და მეცხოველეობის ფერმების მშენებლობაში, კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაში.

თიანელთა თაოსნობას პირველნი გამოეხმაურნენ სასოფლო-სამეურნეო და ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტების ახალგაზრდები.

დიდი რეზერვია აგრეთვე საკარმიდამო მეცხოველეობის შემდგომი განვითარება,

მეცხოველეობის აღმავლობის უპირველეს საფუძველს — საკვების წარმოებას ახლა, გაზაფხულის ამ დღეებში ეყრება საძირკველი. სულ უფრო მეტ ფართობზე უნდა დავთესოთ პირუტყვის საკვები კულტურები, ჩინებულად უნდა მოვუაროთ ნათესებს, ამასთან ბუნებრივ სათიბებს აქედანვე დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომ სულ უფრო მეტი რაოდენობის უხეში საკვები დავამზადოთ. ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ შევქმნათ მტკიცე საკვები ბაზა, აქედანვე ვემზადოთ პირუტყვის ნორმალური გამოზამთრებისათვის. **ამისათვის საჭიროა წლეულს დავამზადოთ სულ ცოტა 810 ათასი ტონა სენაჟი, 705 ათასი ტონა თივა, 1.005 ათასი ტონა სილოსი, 41 ათასი ტონა ბალახის ფხვნილი, 38 ათასი ტონა დაბრიკეტებული და გრანულირებული საკვები, შარდოვანას წარმოება უნდა გავზარდოთ 16 ათას ტონამდე.** აი როგორია საკვებმომპოვებელთა სადღეისო საბრძოლო ციფრები, მისი განხორციელებისათვის ბრძოლა ყველა მშრომელისათვის საპატიოა.

მოთავეთა სიტყვა და საქმე

დ. დვალიშვილი,

პარტიის მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი.

მახარაძელებს სიტყვის გატეხა არ სჩვევიათ. რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მიერ მიღებული ხორცის წარმოების გადიდების კონკრეტული პროგრამა დროულად გააცნეს კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, დაწესებულებებს. დააკონკრეტეს და განსაზღვრეს დავალებანი, თუ რამდენი პირუტყვი უნდა გამოზარდონ თავიანთ დამხმარე მეურნეობაში, რათა უზრუნველყონ საკუთარი შრომითი კოლექტივების მოთხოვნილება.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სახორცე წარმოების სწრაფშედეგიან დარგებს — მეღორეობასა და საბროილერო მეფრინველეობას. საგულისხმოა, რომ დიდი დახმარება გაეწია მოსახლეობას, თითოეულ ოჯახს, რომლებმაც გამოსაზრდელად შეიძინეს დიდძალი პირუტყვი, გამოუყვეს საძოვრები, სათიბი ნაკვეთები, კონცენტრირებული საკვები.

მეცხოველეობაზე პარტიულ ზრუნვას შედეგიც ჩინებული მოჰყვა. **რაიონის კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა დიდი გადამეტებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის პირველი კვარტალის დავალებები.** საზოგადოებრივ მეურნეობებში სამი თვის გეგმით გათვალისწინებული 2.260 ცენტნერის ნაცვლად დამზადებულია 2.905 ცენტნერი ხორცი, რაც 253 ცენტნერით სჭარბობს გასული წლის პირველი კვარტალის მაჩვენებლებს. აღსანიშნავია, რომ რაიონის მოსახლეობამ თავის საკარმიდამო ნაკვეთიდან დიდძალი პირუტყვი ჩააბარა დამზადების პუნქტებს.

საზოგადოებრივმა მეურნეობებმა ვალდებულებით ნაკისრი 7.760 ცენტნერის ნაცვლად აწარმოეს 7.850 ცენტნერი რძე, რაც 239 ცენტნერით აღემატება გასული წლის პირველი კვარტალის შედეგებს.

სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის სოციალისტური შეჯიბრების ვალდებულებანი მნიშვნელოვანი ვადაჭარბებით შეასრულეს სოფლების კონჭკათის, მერიის, ბაილეთის, მახარაძის, ჰანიეთის, ლიხაურის, ასკანის, ბახვის კოლმეურნეობებმა.

როგორც ცნობილია, ჩვენი რაიონი სუბტროპიკული ზონისაა და, პირუტყვის საკვების წარმოების შეზღუდული შესაძლებლობის მიუხედავად, გამოვნახეთ ახალი და საიმედო რეზერვი. პალიასტომის ტბის სანაპიროზე ასობით ჰექტარი ბუნებრივი თივის სავარგულები მეცხოველეობის სამსახურში ჩავაყენეთ, შარშან ასობით ტონა საუკეთესო ხარისხის თივა გამოვზიდეთ, ახლა კი ნაადრევმა გაზაფხულმა დააჩქარა თივის ვეგეტაცია. ასე რომ, სულ ორიოდე კვირაში შევუდგებით თიბვას. მთელ რეზერვებს გამოვიყენებთ მეცხოველობის მკვეთრი აღმავლობის უზრუნველსაყოფად, რათა წელს სახელმწიფოს მივყიდოთ 2.000 ტონა ხორცი.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ხარისხი

ლ. ვართანიანი,

ბოგდანოვკის სახალხო დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

ბოგდანოვკის რაიონის მეცხოველეებმა განვლილ სამ წელიწადში 1975 წელთან შედარებით ხორცის წარმოება გაადიდეს 9,4 პროცენტით, რძისა — 9,3 პროცენტით. გეგმა-დავალების გადამეტებით სახელმწიფოს მიჰყიდეს 1380 ტონა რძე და 49,2 ათასი ცალი კვერცხი.

სასიხარულოა, რომ რაიონის მეცხოველეებმა წლევანდელი სამეურნეო წლის დამდეგისთანავე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების ზრდის მაღალი ტემპი აიღეს.

პირველ კვარტალში გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით სახელმწიფოს მიჰყიდეს 100,6 ტონით მეტი ხორცი და 468,5 ტონით მეტი რძე. ამით ხორცის მიყიდვის გეგმა გაიზარდა 15,5 პროცენტით, რძისა 17.2 პროცენტით.

ამავე პერიოდში თითოეული საფურაქე ძროხის წველადობა გადიდდა 17 კილოგრამით, ხოლო სახორცედ ჩაბარებული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საშუალო წონა — 337 კილოგრამამდე, რაც 37 კილოგრამით მეტია შარშანდელთან შედარებით. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა წარმოებული პროდუქციის ხარისხი.

ფელს უნდა დამზადდეს:

- 810.000 ტონა სენაჟი;
- 705.000 ტონა თივა;
- 1.005.000 ტონა სილოსი;
- 41.000 ტონა ბალახის ფხვნილი;
- 38.000 ტონა დაბრიკეტებული და გრანულირებული საკვები.

ვადაზე ორი თვით ადრე

ვ. ძნელაძე,

გაგრის ჯიშთსაშენე მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი.

ზღვისპირა აგარაკზე ულამაზეს ბიჭვინთაში მდებარეობს რესპუბლიკაში განთქმული მეცხოველეობის მეურნეობა, სადაც ჯერჯერობით 1.786 სული საქონელია, მათ შორის 479 ფური. საინტერესო ის არის, რომ ყოველ წელს საშუალო წველადობა 3.000-3.500 ლიტრია.

რით ვაღწევთ ამას? პირუტყვის კარგი მოვლით; მეწველ ფურს მუდამ აქვს საკმაოზე მეტი ყოველგვარი საკვები, ფართოდ არის დანერგილი შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია. მეურნეობის გამოცდილების გასაცნობად ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა რაიონიდან ჩამოდიან.

დღის წესრიგშია მტკიცე საკვები ბაზის შექმნა. ჯერჯერობით ამ მხრივ კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი. ოქტომბერში ვთესავთ ცერცველასა და შვრიას, მაისში ვიღებთ, თან ვხნავთ, რომ სიმინდი დავთესოთ, სექტემბერში სიმინდს დავასილოსებთ და მაშინვე ვთესავთ ტურნეფსს; 800 ჰექტარი ფართობის გონივრული გამოყენებით პირუტყვისათვის მუდამ გვექნება საკმაოზე მეტი საკვები.

მეურნეობამ შარშან სახელმწიფოს მიჰყიდა 1.595 ტონა რძე, 70 ტონის ნაცვლად 138 ტონა ხორცი. მეათე ხუთწლედის მეოთხე წელი უფრო ნაყოფიერად დავიწყეთ, სახელმწიფოს პირველ კვარტალში 27 ტონის ნაცვლად მივყიდეთ 58 ტონა ხორცი, 385 ტონა რძე; გეგმის 100 პროცენტი;

გავეცანით „1979 წელს მოსავლის აღების, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და საკვების დამზადების უზრუნველყოფისა და 1979-80 წლის პერიოდში პირუტყვის წარმატებით გამოზამთრების დამატებით ღონისძიებათა შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას და გადავწყვიტეთ ყველაფერი ვიღონოთ რათა სახელმწიფოსათვის ხორცისა და რძის მიყიდვის გეგმა შევასრულოთ ვადაზე ორი თვით ადრე, წელს დავამზადოთ პირუტყვისათვის საკმაოზე მეტი ყუათიანი საკვები. თითოეულ ძროხაზე მივიღოთ 3.500 კილოგრამი რძე.

კომპლექსური მექანიზაციის გზით

შ. ჩხაიძე,

ხელვაჩაურის რაიონის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი.

ჩვენს უპირველეს მიზნად დავისახეთ ფერმის უზრუნველყოფა საკუთარი საკვებით. მარტო მეათე ხუთწლედის განვლილ სამ წელიწადში ჭოროხის ნაპირებზე ავითვისეთ 100 ჰექტარი სახნავ-სათესი, სადაც ორი მოსავალი მოგვყავს. ადრე გაზაფხულზე ვთესავთ შვრიას, რომელსაც ვიღებთ მაისში, შემდეგ კი ითესება სასილოსე სიმინდი. ამჟამად შვრია დათესილი გვაქვს 120 ჰექტარზე, საიდანაც მივიღებთ 2400 ტონა საკვებს. ნედლი ბალახი განსაკუთრებით ყუათიანია. ეს განსაზღვრავს ჩვენი საქონლის პროდუქტიულობას.

ამჟამად ფერმაში 390 სული პირუტყვი გვყავს, ერთ საფურაქე ძროხაზე შარშან 2972 კილოგრამი რძე მივიღეთ, ჩვენი ახალი ვალდებულება კი წელს საშუალოდ ფურზე 3000 კილოგრამზე მეტ რძეს ითვალისწინებს. პირველი კვარტალის შედეგები დამაიმედებელია. შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით საშუალოდ ფურზე 93 კილოგრამით მეტი რძეა მიღებული, ხოლო მთლიანად ფერმაში — 25 ტონით მეტი.

წლეულს განზრახული გვაქვს ჭოროხის სანაპიროზე კიდევ ავითვისოთ 50 ჰექტარი სათიბი, ხოლო ხუთწლედის ბოლომდე 100 ჰექტარი. ამით მთლიანად უზრუნველვყოფთ ჩვენი ფერმის მოთხოვნილებას. პრაქტიკამ ისიც დაამტკიცა, რომ შესაძლებელია 3 მოსავლის მოყვანა. შემოდგომაზე ძირხვენებს თუ დავთესავთ, ჩვენში ზამთრამდე ისიც ასწრებს შემოსვლას.

ფერმაში გადამწყვეტ სიტყვას ამბობს მექანიზაცია, წველა ჯერჯერობით სანახევროდ არის მექანიზებული, ხოლო საკვების დამუშავება და მიწოდება მთლიანად.

სახელმწიფოს უნდა მიეყიდოს:



მთა გვიხმობს!

თიანეთის რაიონის ახალგაზრდა მეცხოველეების თაოსნობას იწონებენ და მხარს უჭერენ თბილისელი სტუდენტები

„მთის მეცხოველეობას — კომკავშირული ზრუნვა!" — თიანეთის რაიონის ახალგაზრდების ამ თაოსნობას ერთსულოვნად უჭერენ მხარს დედაქალაქის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო და ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის ახალგაზრდობა. მათ გადაწყვიტეს ზაფხულის არდადეგების დროს წავიდნენ მთის რაიონის სოფლებში ფერმების მშენებლობაზე, პირუტყვის საკვების დამზადებაში მიეხმარონ საკვებმომპოვებლებს, ამასთან დაკავშირებით „კომუნისტის" კორესპონდენტი ჯ. ქურხული ესაუბრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო და ზოოტექნიკურ სავეტერინარო ინსტიტუტების რექტორებს. ვბეჭდავთ ამ საუბრის ჩანაწერს.

ვ. მეტრეველი,

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორი, ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო სოფლის მეურნეობის მეცნიერების აკადემიის აკადემიკოსი:

თიანელი ახალგაზრდების თაოსნობა დროული და მეტად საჭირო ღონისძიებაა მთის მეცხოველეობის ასაღორძინებლად. ისიც უნდა ითქვას, რომ იგი მთელ რიგ სირთულეებთან არის დაკავშირებული, მაგრამ ჩვენი ახალგაზრდები სიძნელეებს არ უშინდებიან. ინიციატორებს სავსებით სწორედ დაუნახავთ და უგრძვნიათ, რომ მხოლოდ საკუთარი ძალებით ამ საქმეს ვერ მოერევიან.

დღემდე მეცნიერულად არავის შეუსწავლია და დაუდგენია, თუ რამდენი საკვების მოცემა შეუძლია მთას. მარტო ბუნებრივი საძოვრებით ფონს ვერ გავალთ. მთაში, სადაც შესაძლებელია, [illegible] რთულია.

ასევე ძნელდება თესვა და ნათესის მოვლა-პატრონობა, რაც თავისთავად გულისხმობს მის რწყვას, სასუქების შეტანას. ყოველივე ეს დიდ სირთულეებს ქმნის.

ამ საქმის წარმატებით გადაჭრა დიდ ეფექტს მოგვცემს. ჩვენი მიწა და მზე ნაყოფიერების გარანტიას იძლევა.

როგორ და რას მოგვცემს მთა სოფლის მეურნეობაში — ამ პრობლემის გადასაჭრელად უკვე მუშაობენ ჩვენი მეცნიერები. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ექსპედიციები კომპლექსურად სწავლობენ მთიან რაიონებს და მათ შორის თიანეთსაც.

ამ ზაფხულს ჩვენი ინსტიტუტის ჭაბუკები და ქალიშვილებიც დაიკაპიწებენ ხელებს. მათი ერთი რაზმი თიანეთის მეზობელ დუშეთის რაიონს ესტუმრება. ეს იქნება კომპლექსური ბრიგადა. ზაფხულში ჩვენი ინსტიტუტის [illegible] თავად გათიბავენ ბალახს, დააბულულებენ, დაზვინავენ, შემდეგ კი ფერმებთან დააბინავებენ, ათობით ტონა უხეშ საკვებს. სტუდენტები პირუტყვის საკვებს დაამზადებენ აგრეთვე ყიზლარის საძოვრებზე, საზოგადოებრივ მეურნეობებს მიეხმარებიან ფერმების მშენებლობაში, პირუტყვის სადგომების შეკეთებაში, ამასთანავე ფერმის მუშაკებისათვის ზაფხულის იალაღებზე ჩაატარებენ საუბრებს, საღამო-კონცერტებს.

თიანელი ახალგაზრდების თაოსნობა საერთო-სახალხო საქმეა და ჩვენი ინსტიტუტის სტუდენტი ახალგაზრდობა, როგორც ყოველთვის თავს ისახელებს.

გ. აგლაძე,

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი:

ჩვენ ერთსულოვნად ვუჭერთ მხარს თიანელი ახალგაზრდების ინიციატივას. ყველაფერი უნდა [illegible]

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის გადაწყვეტილებებით რესპუბლიკის მთიანეთში უნდა განვითარდეს სახორცე მეძროხეობა. ამისათვის ჩვენმა ინსტიტუტმა რესპუბლიკის სამ რაიონში და მათ შორის თიანეთის რაიონშიც შეიყვანა გაუმჯობესებული სახორცე ჯიშის პირუტყვი, დღეისათვის უკვე ჰყავთ ასზე მეტი ხბო. მოზარდეული ბუნებრივ პირობებს კარგად ეგუება და ექვსი თვის ხბორების წონა-მატება დღე-ღამეში 540-620 გრამია.

ვეხმაურებით რა თიანელთა თაოსნობას, გადაწყვეტილი გვაქვს თიანეთის რაიონში დავამუშაოთ პირუტყვისათვის საკვებ-წარმოების, მოვლა-პატრონობის საკითხები. ჩვენი მეცნიერი მუშაკები მონაწილეობას მიიღებენ პირუტყვის სხვადასხვა დაავადების პროფილაქტიკურ ლიკვიდაციო ღონისძიებებში.

წლეულს, ივლისში, სტუდენტთა რაზმი ჩავა თიანეთის რაიონში, [illegible] შავებენ ფერმების რეკონსტრუქციაზე, საკვების დამზადებაზე, ერთი ჯგუფი იმუშავებს საკვების ხარისხის განსაზღვრაზე, დააგროვებენ ათობით ტონა უხეშ საკვებს.

ინსტიტუტის საკვებმომპოვებელთა მეორე რაზმი ბორჯომის რაიონს ესტუმრება. სტუდენტები იმუშავებენ ქცია-ნარიანის მასივზე. რა თქმა უნდა, მესამე შრომით სემესტრში მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო სტუდენტები.

თიანელთა ახალგაზრდების თაოსნობას უდავოდ დიდი მომავალი აქვს და მას სხვა ინსტიტუტებიც დაუჭერენ მხარს.

ადამიანები და საქმეები



● **ლაგოდეხის** რაიონის სოფელ აფენის კოლმეურნეობა „საქართველოს" ახალგაზრდებს შორის ერთ-ერთი საუკეთესოა მეცხოველე გურამ ხაცაძე. იგი კეთილსინდისიერი შრომით თანატოლებს კარგ მაგალითს უჩვენებს.

● **თეა ფავლენიშვილი** და გია ყოჩიაშვილი წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის მეღორეობის ფერმაში ერთი წლის წინათ მივიდნენ. დღეს მათ თავიანთი საქმის აღარაფერი ესწავლებათ და გამოცდილ მწყემსებს ტოლს არ უდებენ.

● **ახმეტის** რაიონის სოფელ ზემო ალვანის მეცხოველეობის ახალგაზრდა მწველავი თამარ ცისკარიშვილი, ფერმაში წინაპართა შრომითმა საქმიანობამ მიიყვანა. მან და მისმა თანატოლებმა ახალ სიმაღლეზე უნდა აიყვანონ ალვანელების საქონლისადმი სიყვარულის ტრადიციები.

● **ის ურჩევნია** მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა. თამამად შეიძლება ამის თქმა, როდესაც საკავშირო ალკკ XVIII ყრილობის დელეგატზე, ყაზბეგის რაიონის სოფელ სიონის ახალგაზრდა მეცხვარეზე გენადი კუკუშვილზე ვლაპარაკობთ. **საქინფორმის ფოტოქრონიკა.**

კვლევა გრძელდება

ფრენის მართვის ცენტრი, 5 აპრილი ([illegible]). ფრენა [illegible] „პროგრეს-5" ავტომატურმა სატვირთო სა[illegible] [illegible] ორბიტაზე 1979 წლის 12 მარტს გაიყვანეს.

ავტონომიური ფრენის დროს დაგეგმილი ცდების შესრულების შემდეგ დედამიწიდან კომანდებით მოხდა „პროგრეს-5" ხომალდის ორიენტაცია სივრცეში. შემდეგ ჩაერთო მისი ძრავის დანადგარი. დამუხრუჭების შედეგად ხომალდი დაშვების ტრაექტორიაზე გადავიდა, შევიდა ატმოსფეროს მკვრივ ფენებში წყნარი ოკეანის დასახულ რაიონებში და შეწყვიტა არსებობა.

ვლადიმერ ლიახოვი და ვალერი რიუმინი განაგრძობენ კვლევას „სალუტ-6" — „სოიუზ-32" ორბიტულ კომპლექსში.

ბუნებრივი რესურსების კვლევისა და გარემოს შესწავლის პროგრამით კოსმონავტები ვიზუალურად აკვირდებიან და ფოტოსურათებს უღებენ დედამიწის ზედაპირსა და მსოფლიო ოკეანის აკვატორიას.

„სალუტ-6" — „სოიუზ-32" ორბიტული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს.

ვლადიმერ ლიახოვი და ვალერი რიუმინი თავს კარგად გრძნობენ.

● ●

გულითადი მილოცვა

სოციალისტური ეთიოპიის დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ მენგისტუ ჰაილე მარიამს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საბჭოთა მთავრობის, ჩვენი ქვეყნის ხალხის სახელით და პირადად ჩვენი სახელით, ამხანაგო თავმჯდომარევ, გულითადად ვულოცავთ და ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებთ სოციალისტური ეთიოპიის დროებით სამხედრო ადმინისტრაციულ საბჭოს, მინისტრთა საბჭოსა და ხალხს გამარჯვების დღის გამო.

საბჭოთა ადამიანები გულწრფელი მეგობრობისა და სიმპათიის გრძნობით არიან გამსჭვალულნი მამაცი ეთიოპი ხალხისადმი, რომელმაც დაიცვა დამოუკიდებლობა იტალიელ ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლაში და დღეს, ეროვნულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, მტკიცედ ჩადგა იმპერიალიზმის, რასიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებში.

დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა კვლავაც განვითარდება და განმტკიცდება მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების საფუძველზე საბჭოთა და ეთიოპი ხალხების ინტერესებისათვის, მშვიდობისა და პროგრესის საკეთილდღეოდ.

ლ. ბრეჟნევი,
ა. კოსიგინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის რ. რ. დვალის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მეცნიერების განვითარებაში გაწეული ღვაწლისათვის, ნაყოფიერი საზოგადო მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი რაფიელ რაფიელის ძე დვალი დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი.
1979 წლის 6 აპრილი.

გამარჯობა, სპარტაკიადავ!

დიდ ნათელ, სპორტულ დღესასწაულად, გაზაფხულისა და სიჭაბუკის დღესასწაულად, ჯანმრთელობის, ძალისა და სილამაზის დღესასწაულად იქცა საქართველოს დედაქალაქის VII სპარტაკიადა, რომელიც საზეიმო ვითარებაში გაიხსნა თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე.

სპარტაკიადის საზეიმო გახსნას დაესწრნენ ამხანაგები გ. ნ. ენუქიძე, თ. ნ. მენთეშაშვილი, ჯ. ი. პატიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, თ. ი. მოსაშვილი, ვ. რ. პაპუნიძე.

(დასასრული მე-4 გვ.).

კ. სიმონოვი:

საერთო საქმეს ვაკეთებთ!

მოსკოვში ათ დღეს მიმდინარეობდა რესპუბლიკის მწერალთა შემოქმედებითი შეხვედრები დედაქალაქის მშრომელებთან. ათი ათასი მოსკოველი დაესწრო ქართული პოეზიისა და კინოს საღამოებს, მკითხველთა კონფერენციებს. შემოქმედებითი შეხვედრები დამთავრდა, მაგრამ ისინი გრძელდება...

შეხვედრების შედეგი შეიძლება გამოვხატოთ ციფრებით, მაგრამ არის შედეგები, რომელთა ციფრებით გამოხატვა შეუძლებელია.

5 აპრილს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივ წარმომადგენლობაში გაიმართა პრესკონფერენცია. პრესკონფერენციაზე საუბარი ჩვეულებრივი ტრადიციული „კითხვა-პასუხის“ სქემით კი არ წარიმართა, არამედ გადაიქცა საქმიან განხილვად, ამგვარი შეხვედრების ჩატარების თვით პრაქტიკის ანალიზად. ამ შეხვედრებმა ახალი იმპულსი მისცეს მოსკოვისა და საქართველოს სს რესპუბლიკის კულტურის ოსტატთა შემოქმედებითს კონტაქტებს.

შეკრებილთა წინაშე გამოვიდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე გ. აბაშიძე და რესპუბლიკის კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი ე. შენგელაია. მათ ილაპარაკეს ქართული ლიტერატურისა და კინოს დღევანდელობის შესახებ, უპასუხეს ჟურნალისტთა მრავალ კითხვას.

* * *

ცოტა არ იყოს გული გვწყდებოდა, დასასრული რომ ახლოვდებოდა. რჩებოდა კიდევ ერთი საზეიმო საღამო — „სამანიშვილის დედინაცვლის“ ჩვენება ლიტერატორის ცენტრალურ სახლში. სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის მდივანმა ალექსანდრე კარაგანოვმა ილაპარაკა რეჟისორ ელდარ შენგელაიას შემოქმედებაზე.

სწორედ რომ კარგი ჩანაფიქრი იყო — მოსკოვის შემოქმედებითი შეხვედრები დაემთავრებინათ ფილმით, რომელიც შექმნილია ქართული ლიტერატურის კლასიკური ნაწარმოების მიხედვით. დარბაზი დიდხანს უკრავდა ტაშს ავტორთა ოსტატობასა და თვით ამ იდეასაც.

* * *

რესპუბლიკის მწერალთა შემოქმედებითი შეხვედრის დამთავრების გამო მოსკოვში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივ წარმომადგენლობაში დარბაზობა გაიმართა.

დარბაზობაზე იყვნენ სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნები ი. ვერჩენკო, კ. სიმონოვი, ა. ჩაკოვსკი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ა. ალექსიძე, მოსკოველი და ქართველი მწერლები, მოსკოვის გამომცემლობათა მუშაკები, ჟურნალისტები.

დარბაზობაზე სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივმა წარმომადგენელმა თ. ხაჩიძემ, რომელმაც მადლობა გადაუხადა შემოქმედებითი შეხვედრების ყველა მომწყობსა და მონაწილეს.

ვამთავრებ რა საქინფორმის უკანასკნელ რეპორტაჟს ამ დღესასწაულის შესახებ, მინდა მოვიყვანო კონსტანტინე სიმონოვის სიტყვები:

—ამ დღეებმა ჩვენ კიდევ უფრო დაგვაახლოვა. ლიტერატურა ნამდვილად ვერასოდეს ვერ წავა წინ, თუ არ გვექნება მწერალთა დაახლოების ისეთი ფორმები, როგორიც შემოქმედებითი შეხვედრებია. განვლილი დღეების ჭეშმარიტი აზრი და მნიშვნელობა, დიდი აუდიტორიის წინაშე გამოსვლის სიხარულის გარდა, ისიც არის, რომ ეს დღეები დაგვეხმარა ვიმუშაოთ, რომ ქართული ლიტერატურა კიდევ უფრო დავუახლოოთ რუს და საბჭოეთის ყველა მკითხველს. ეს მუშაობა გაგრძელდება. და უაღრესად საჭიროა, რომ ჩვენ, სხვადასხვა ხელოვნების ადამიანები, კიდევ უფრო ახლოს ვიდგეთ ერთმანეთთან, რათა ვგრძნობდეთ, რომ საერთო საქმეს ვაკეთებთ...

თ. მამალაძე,
საქინფორმის სპეც. კორ.

საქართველოს ფარმაცევტთა პირველი ყრილობა

4-6 აპრილს თბილისში მიმდინარეობდა საქართველოს ფარმაცევტთა პირველი ყრილობა, რომელშიც მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების მეცნიერები და პრაქტიკოსი ფარმაცევტები.

ყრილობა გახსნა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ კ. გეგელაშვილმა.

მოხსენება „საქართველოში ფარმაციის განვითარების ისტორიული ეტაპები“ გააკეთა საქართველოს ფარმაცევტთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილემ პროფესორმა ბ. ჭუმბურიძემ.

ხალხის ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი სააფთიაქო სამმართველოს ამოცანების შესახებ ილაპარაკა მისმა უფროსმა გ. ხანთაძემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. გ. ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის მეცნიერული კვლევის ზოგიერთი შედეგი გააშუქა ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა ე. ქემერთელიძემ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტული ფაკულტეტის მეცნიერული მუშაობისა და კადრების მომზადების საკითხს შეეხო თავის გამოსვლაში ამ ფაკულტეტის დეკანი, დოცენტი რ. მახარაძე.

ფარმაცევტთა სრულიად საკავშირო სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარემ, რუსეთის სფს რესპუბლიკის მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ პროფესორმა ი. მურავიოვამ გააშუქა ფარმაცევტთა სამეცნიერო საზოგადოების ამოცანები ხალხის ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი სრულყოფის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულების დარგში.

ყრილობის დელეგატებსა და სტუმრებს მიესალმნენ რუსეთის სფს რესპუბლიკის, უზბეკეთის, ესტონეთის და ლატვიის პრაქტიკული ფარმაციის წარმომადგენლები, აგრეთვე თბილისის სამედიცინო ისტიტუტის ფარმაცევტული ფაკულტეტის სტუდენტები.

ყრილობის შედეგების შეჯამების შემდეგ გაიმართა საქართველოს ფარმაცევტთა სამეცნიერო საზოგადოების საანგარიშო-საარჩევნო სხდომა.

გაიმართა აგრეთვე საქართველოს ფარმაცევტთა სამეცნიერო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები.

ამით საქართველოს ფარმაცევტთა პირველმა ყრილობამ მუშაობა დაამთავრა. (საქინფორმი).

ეძღვნება ხელშეკრულების წლისთავს

4 აპრილს მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირისა და ერაყის რესპუბლიკას შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების დადების მე-7 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

საბჭოთა საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულებას სსრ კავშირისა და ერაყის რესპუბლიკის მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცებისათვის. ეს ურთიერთობა ეყრდნობა ხელშეკრულებით დამკვიდრებული თანასწორუფლებიანობის, სახელმწიფო სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის ურთიერთპატივისცემისა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების მტკიცე საფუძველს.

ერაყის ელჩმა სსრ კავშირში მურთადა საიდ აბდელ ბაქიმ აღნიშნა, რომ ხელშეკრულება შეესაბამება ორი ქვეყნის ხალხების ძირეულ ინტერესებს და დიდი წვლილია მთლიანად საბჭოთა კავშირ-არაბეთის თანამშრომლობის განვითარებაში, იმპერიალიზმისა და რეაქციის ხრიკების წინააღმდეგ, მშვიდობისა და ხალხთა უშიშროებისათვის ბრძოლის საქმეში. (საკდესი).

ჟურნალ „აგიტატორის“ მკითხველთა კონფერენცია

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ჟურნალ „აგიტატორის“ რედაქციამ თბილისში მოაწყო მკითხველთა კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოების, დაწესებულებების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, დედაქალაქის სკოლების საგიტაციო-მასობრივი მუშაობის აქტივისტები.

ჟურნალ „აგიტატორის“ მუშაობისა და გეგმების შესახებ ილაპარაკა რედაქციის პასუხისმგებელმა მუშაკმა ი. კოზლოვამ. კონფერენციაზე გამოვიდნენ და ჟურნალის შესახებ დამსწრეთ აზრი გაუზიარეს მკითხველებმა. (საქინფორმი).

კადრებთან მუშაობის შესახებ

გამოიცა კრებული „ვ. ი. ლენინი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კადრებთან მუშაობის შესახებ“. წიგნში შეტანილია ვ. ი. ლენინის შრომები კადრების შერჩევის, აღზრდისა და განაწილების შესახებ, პარტიის ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციები და გადაწყვეტილებანი კადრების შესახებ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი და პარტიისა და მთავრობის ზოგიერთი ერთობლივი დადგენილება კადრებთან მუშაობის საკითხებზე.

კრებული მოამზადა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ და დაიბეჭდა მოსკოვის სტამბა „კრასნი პროლეტარში“.

(საკდესი).

საერთაშორისო ცხოვრება
დედამიწის ზურგზე

პეკინის კურსი საფრთხეს უქმნის კაცობრიობას

ვარშავა. ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის წინააღმდეგ ჩინეთის აგრესია პეკინის მმართველთა დიდმპყრობელური და ჰეგემონისტური ზრახვების გამოვლინებაა, თქვა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ პ. იაროშევიჩმა თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის მებრძოლთა კავშირის მთავარი საბჭოსა და მთავარი გამგეობის პრეზიდიუმის სხდომაზე გამოსვლისას. პეკინის სტრატეგია, თქვა მან, მიზნად ისახავს მსოფლიო სოციალიზმის, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების ლიკვიდაციას, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების დატორპედებას, სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის გამწვავებას, ვიეტნამელი ხალხი თავის სამართლიან ბრძოლაში მარტო როდია, მას შეუძლია საბჭოთა კავშირის, პოლონეთის და სხვა სოციალისტური ქვეყნების დახმარებისა და მხარდაჭერის იმედი იქონიოს. ამ ქვეყნებმა გადაჭრით დაგმეს ახალი ჩინელი მანდარინების შეიარაღებული აგრესია.

ნიუ-იორკი, სოციალისტური ვიეტნამის ტერიტორიაზე ჩინეთის შეიარაღებულ შეჭრას ამერიკულმა ჟურნალმა „პროგრესივმა“ უწოდა „კოლოსალური საერთაშორისო უპასუხისმგებლობის აქტი, რომელსაც შეიძლება მთელი მსოფლიოსათვის კატასტროფული შედეგები მოჰყვეს“. რამდენიმე წლის მანძილზე პეკინელი ხელმძღვანელები საჯაროდ აცხადებდნენ ბირთვული ომის შესაძლებლობაზე. ვიეტნამზე უგუნური თავდასხმა ეს იმის შემაშფოთებელი სიგნალია, რომ ჩინეთს ნებისმიერ მომენტში შეუძლია სიტყვებიდან საქმეზე გადავიდეს, ხაზგასმით აღნიშნავს ჟურნალი.

სან-ფრანცისკო. „პეკინის ხელმძღვანელობის მუხანათური მოქმედება სოციალისტური ვიეტნამის წინააღმდეგ, რომელმაც იმპერიალიზმის ძალებთან ხანგრძლივ და სასტიკ ბრძოლაში თავისუფლებმა და დამოუკიდებლობა დაიცვა, მაოიზმის ექსპანსიონისტური პოლიტიკის ლოგიკური გაგრძელებაა“, — განუცხადა საკდესის კორესპონდენტს ჩილეს მშრომელთა ერთიანი პროფცენტრის საზღვარგარეთის კომიტეტის თავმჯდომარემ მ. ნავარო ცასტრომ.

ჩინეთი ჰეგემონიზმის პოლიტიკას ახორციელებს, თქვა მან, აზიაში ჟანდარმის როლს ასრულებს. პეკინი, რომელსაც საკადრისი პასუხი გასცა გმირმა ვიეტნამმა, აგრესიულ გეგმებს სახავს მეზობელი ლაოსის წინააღმდეგ.

სიმართლემ უნდა გაიმარჯვოს

ნიუ-იორკი, 5 აპრილი (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს გაუგზავნა წერილი, რომელშიც პროტესტს აცხადებს იმის წინააღმდეგ, რომ „დემოკრატიული კამპუჩიის“ ეგრეთწოდებული წარმომადგენელი გაერთიანებული ერების შტაბ-ბინას იყენებს სახალხო კამპუჩიის შესახებ პეკინში შეკოწიწებული სიცრუისა და ცილისწამების გავრცელებისათვის.

პოლ პოტ-იენგ სარის ფაშისტური ხროვა, ნათქვამია წერილში, დაამხო კამპუჩიელმა ხალხმა, და ეგრეთ წოდებული „დემოკრატიული კამპუჩია“ აღარ არსებობს. მხოლოდ სახალხო-რევოლუციური საბჭოსა და კამპუჩიის ეროვნული ხსნის ერთიანი ფრონტის მიერ დანიშნულ პირებს აქვთ უფლება წარმოადგინონ კამპუჩიელ ხალხს გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მუდმივი წარმომადგენლობას შექმნილი სიტუაცია ნორმალურად არ მიაჩნია. ჩინეთის რადიოგადაცემებიდან აღებული და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გავრცელებული მონაჭორები, რომლებიც შეიცავენ ღვარძლიან გამოხდომებს კამპუჩიის წინააღმდეგ და ამახინჯებენ ქვეყნის ნამდვილ ვითარებას, უხეშად არღვევს კამპუჩიელი ხალხის სუვერენიტეტსა და აბუჩად იგდებს საერთაშორისო საზოგადოებრიობას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ უნდა მიიღოს საჭირო ზომები, რათა ბოლო მოუღოს ასეთ ვითარებას, ხაზგასმულია წერილში.

მოკლედ

ყოველი მხრიდან

6 აპრილი.

პარიზი. აქ გაიხსნა საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის შერეული საზოგადოების „სოგოს“ 10 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა. გამოფენაზე დემონსტრირებულია საფრანგეთის ბაზრებზე წარმოდგენილი საბჭოთა საქონელი.

„სოგოს“ არსებობის წლებში საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის შერეული საზოგადოების საქმიანი ოპერაციების მოცულობა 10-ჯერ გაიზარდა და 1978 წელს 500 მილიონ ფრანკს მიაღწია.

● ●

რომი. აქ გაიმართა იტალიის მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელზეც განიხილეს პარლამენტის ვადამდელი არჩევნების ჩატარების დრო. ამ საკითხის გადაჭრა გადადებულია მომავალ კვირამდე.

თუმცა საარჩევნო კამპანია ოფიციალურად არ დაწყებულა, პოლიტიკურმა პარტიებმა უკვე გაშალეს აქტიური მზადება მომავალი არჩევნებისათვის.

● ●

სტამბოლი. ნატოს აგრესიული ბლოკი ეწინააღმდეგება როგორც საყოველთაო მშვიდობის, ახევე ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებსაც, ნათქვამია თურქეთის მშვიდობის მომხრეთა საზოგადოების ცენტრალური ხელმძღვანელი საბჭოს განცხადებაში. ბლოკის 30 წლისთავთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ ნატოსაც ისევე გადააგდებენ ისტორიის სანაგვეზე, როგორც ეს მოუვიდათ სენტოსა და სეატოს, რომლებიც „ცივი ომის“ დროს შეიქმნა და მიზნად ისახავდნენ ხელი შეეშალათ სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების განვითარებისა და განმტკიცებისათვის. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ეგიდით შექმნილი ნატოს ბლოკი უწინარეს ყოვლისა ვაშინგტონის იარაღია თავისი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.

● ●

კარაკასი. აქ ჩამოვიდა ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის მდივანი ხუან ფრანსისკო ალვარესი, რომელმაც გადაჭრით დაგმო პატრიოტების დაპატიმრება, რეპრესიები და მკვლელობა, რაც გრძელდება ჩილეში, ნიკარაგუაში, პარაგვაიში, ურუგვაისა და ლათინური ამერიკის მთელ რიგ სხვა ქვეყნებში. ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციაში შემავალი 100 ქვეყნის 150 ათასი ჟურნალისტის სახელით მან ვენესუელის საზოგადოებრიობას მოუწოდა სოლიდარობა გამოუცხადონ ამ ქვეყნების ხალხებს, რომლებიც თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის იბრძვიან.

● ●

ვაშინგტონი. ამერიკის კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ მოიწონა კანონპროექტი, რომელიც სანქციას აძლევს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ვალის 798-დან 830 მილიარდ დოლარამდე გადიდებას.

სახელმწიფო ვალის გიგანტური მოცულობა აიხსნება პირველ რიგში სამხედრო ხარჯების არნახული ზრდით. იმისათვის, რომ ნაწილობრივ აანაზღაუროს ეს ხარჯები, ამერიკის მთავრობა იძულებულია მიმართოს სესხს და სულ უფრო დიდი რაოდენობით გამოუშვას ობლიგაციები და სხვა ფასიანი ქაღალდები.

ფოტო ამხილებს

ოლსტერის კრიზისის საკითხში ოფიციალურმა ლონდონმა არათუ ამჯობინა ძალადობა, როგორც კოლონიური წესრიგის შენარჩუნების ნაცადი მეთოდი, არამედ ყოველმხრივ უწყობს ხელს ადგილობრივ ექსტრემისტთა მიერ გაჩაღებულ ტერორს.

უკვე ათი წელია, რაც ამ პროვინციაში არ წყდება ბომბების აფეთქებები და ავტომატის სროლა, ბობოქრობს ხანძარი, მატულობს უდანაშაულო მსხვერპლთა რიცხვი, რომლებიც უმთავრესად ჩრდილოეთ ირლანდიის მოსახლეობის კათოლიკურ ნაწილს ეკუთვნიან.

სურათზე: ასე გამოიყურება ბელფასტის ერთ-ერთი ქუჩა ექსტრემისტთა ბომბების აფეთქების შემდეგ.

კამერა-პრეს-საკდესის ფოტო.

დემონსტრაციები პაკისტანში

პარიზი, 5 აპრილი. (საკდესი). დღეს პაკისტანის მთელ რიგ ქალაქებში მოეწყო მასობრივი საპროტესტო დემონსტრაციები ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზ. ა. ბჰუტოს დასჯის გამო. როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი რავალპინდიდან იტყობინება, ამ ქალაქის ცენტრში ზ. ა. ბჰუტოს ხსოვნისადმი მიძღვნილ მიტინგზე 6 ათასამდე კაცი შეიკრიბა. პოლიციის ცდებმა გაერეკათ პაკისტანის სახალხო პარტიის სიკვდილით დასჯილი ლიდერის მომხრეები, გააფთრებული შეტაკებები გამოიწვია. შემდეგ მიტინგის მონაწილეები ქალაქის ქუჩებში გამოვიდნენ და სამხედრო მთავრობის საწინააღმდეგო ლოზუნგებს გაიძახოდნენ. დემონსტრანტებმა დაარბიეს და დაწვეს ქვეყნის უდიდესი გაზეთის „ჯანგის“ რედაქცია, დაწვეს რამდენიმე ავტობუსი.

პოლიციასთან შეტაკებები მოხდა აგრეთვე ქვეყნის უდიდეს ქალაქ ყარაჩიში და ლაჰორში. ფეისალ-აბადში შეტაკებებში მონაწილეობა მიიღო 4 ათასამდე კაცმა. დასჯილი პრემიერ-მინისტრის მომხრეებმა ყარაჩის გარეუბანში დაწვეს პოლიციის უბანი. დემონსტრანტთა გასარეკად პოლიციამ ხელკეტები და ცრემლსადენი გაზი გამოიყენა. ასობით დემონსტრანტი, მათ შორის პაკისტანის ოპოზიციური სახალხო პარტიის ლიდერი ყოფილი ფინანსთა მინისტრი ა. ხ. პირზადა, დაპატიმრებულია.

პაკისტანის სახალხო პარტიის გენერალურმა მდივანმა იასინ ვატომ ქვეყნის მოსახლეობას მოუწოდა ორმოცდღიანი გლოვა გამოაცხადონ.

ძველ პოზიციებზე

ვენა, 6 აპრილი. (საკდესი). ვენის ჰოფბურგის სასახლეში დახურულ პლენარულ სხდომაზე მეორასედ შეიკრიბნენ ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ურთიერთშემცირების შესახებ მოლაპარაკების მონაწილენი. სხდომაზე გამოვიდა ლუქსემბურგის დელეგაციის მეთაური ე. მოლიტორი.

როგორც ჟურნალისტებთან შეხვედრაზე დასავლეთის დელეგაციების პრეს-ატაშემ აღნიშნა, მოლიტორის გამოსვლაში არაფერი იყო ახალი. მან ახლაც უპასუხოდ დატოვა სოციალისტური ქვეყნების გასული წლის 8 ივნისის კონსტრუქციული წინადადებანი, მაშინ როდესაც სწორედ ეს წინადადებანი, რომლებშიც გათვალისწინებულია დასავლეთის პოზიციის მთელი რიგი ელემენტები, სახავენ ვენაში ურთიერთმისაღები შეთანხმების მიღწევის გზას.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის წარმომადგენელმა პრესის საკითხებში ჟურნალისტებს განუცხადა, რომ დასავლელი პარტნიორები კვლავ თავს არიდებენ კონკრეტული ვალდებულებების მიღებას. მაგალითად, მათ უპასუხოდ დატოვეს სოციალისტური სახელმწიფოების წინადადებანი იმის შესახებ, რომ ვენის მოლაპარაკების პერიოდში არ გაადიდონ შეიარაღებული ძალების რაოდენობა. ყოველივე ეს მოწმობს, რომ ნატოს ქვეყნებს არ სურთ რეალური წვლილი შეიტანონ უაღრესად დიდმნიშვნელოვან საქმეში.

● გადაჭრით გმობენ პეკინის კურსს ● ისტორიული განვითარების შედეგად ● ხალხის რისხვა ვერაგული გარიგების წინააღმდეგ

ნათელი პოზიცია

ჰანოი, 5 აპრილი. (საკდესი). ვიეტნამის ხალხმა და მთავრობამ კვლავ ცხადყვეს კეთილი ნება და მზადყოფნა მოლაპარაკება აწარმოონ ჩინეთის მხარესთან საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა დონეზე ორ ქვეყანას შორის ნორმალური ურთიერთობის აღდგენის შესახებ, წერს დღეს ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო გაზეთი „ნიან ზანი“ მოწინავე სტატიაში.

ვიეტნამ-ჩინეთის საზღვარი, ხაზს უსვამს გაზეთი, შეიქმნა ისტორიული განვითარების პროცესში და ოფიციალურად არის აღიარებული საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტებით. ყოველ ღონეს ვხმარობდით, რათა ჩინეთის მხარესთან ერთად შეგვექმნა მტკიცე მეგობრობის საზღვარი. ჩინეთის მხარისადმი ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყველა წინადადება სწორედ ამ გულწრფელი მისწრაფებით იყო გამსჭვალული. ხალხის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის, სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი ვიბრძოლოთ, რათა ჩვენი ტერიტორიიდან განვდევნოთ ყველა აგრესორი, რომელიც ხელყოფს ჩვენი წმიდათაწმიდა მიწის თუნდაც ერთ მტკაველს. ეს ჩვენი ხალხის ურყევი რწმენაა, რადგან ყოველი მტკაველი ჩვენი მიწა მორწყულია ვიეტნამელთა სისხლით.

ჩინეთის მმართველ წრეებს, აღნიშნულია სტატიაში, არასოდეს არ აუღიათ ხელი აგრესიისა და ჩვენი ქვეყნის ანექსიის ზრახვებზე, ჩინეთის ჯარები ჯერ კიდევ მთლიანად არ არის გაყვანილი ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიიდან. პეკინი გზავნის აგრეთვე დამატებით სამხედრო კონტინგენტებსა და საომარ საშუალებებს რაიონებში, რომლებიც ვიეტნამის საზღვრის მახლობლად მდებარეობენ, ქედმაღლურად გვემუქრება, თავხედურად ცილს გვწამებს და პროვოკაციებს მიმართავს.

ჩვენი პოზიცია ნათელია: ომის წამომწყებმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოუღოს ბოლო აგრესიას, დაუყოვნებლივ, მთლიანად და უპირობოდ გაიყვანოს ჯარები ისტორიულად შექმნილი საზღვრის ხაზს იქით, რომლის პატივისცემა ორივე მხარემ იკისრა.

ვიეტნამის სოციალისტურმა რესპუბლიკამ კვლავ თვალსაჩინოდ ცხადყო, რომ მზად არის ჩინეთის მხარესთან ერთად დაიწყოს მოლაპარაკება სასაზღვრო რაიონებში მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნების საჭირბოროტო ღონისძიებათა განხილვისათვის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის საფუძველზე, ჩვენ კვლავ გვსურს, რომ ჩვენს კეთილ ნებას პოზიტიურად გამოეხმაურონ, წერს „ნიან ზანი“.

აბუჩად იგდებენ

ნიუ-იორკი, 5 აპრილი. (საკდესი). კაირომ კვლავ სამარცხვინოდ დაუთმო ისრაელს ეგვიპტეში ისრაელის პრემიერის ბეგინის ვიზიტის დროს. პრეზიდენტი სადათი, რომელმაც ისრაელთან დამამცირებელი „საზავო ხელშეკრულება“ დადო, ახლა დათანხმდა უკვე 27 მაისისათვის ეგვიპტე-ისრაელის საზღვრის გახსნაზე, ესე იგი, როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ დეილი ნიუსი“ წერს, სეპარატული გარიგებით გათვალისწინებულ ვადაზე შვიდი თვით ადრე. საგულისხმოა, რომ ამ დროისათვის სინის ნახევარკუნძულის — ეგვიპტის სუვერენული ტერიტორიის — მეტი ნაწილი ჯერ კიდევ დაპყრობილი ექნება ისრაელს.

ეგვიპტე-ისრაელის სეპარატული გარიგების მთავარი სულისჩამდგმელისათვის, შეერთებული შტატებისთვისაც კი მოულოდნელი გამოდგა სადათის ასეთი გულუხვობა, რასაც, კერძოდ, აღნიშნავს გაზეთი „დეილი ნიუსი“.

„ნიუ-იორკ ტაიმსი“ მას ახასიათებს როგორც სადათის დათმობას, რომელიც წინათ სიტყვით მოითხოვდა, რომ ეგვიპტისა და ისრაელის ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის გადადგმულ ყოველ ნაბიჯს მოჰყოლოდა პროგრესი მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე და ღაზის სექტორში თვითმმართველობის ორგანოების შექმნის საქმეში. ახლა მან მოიშორა მთელი ეს დემაგოგია და აშკარად აჩქარებს ვაშინგტონის ხელშეკრულების პრაქტიკულ განხორციელებას არა მარტო ეგვიპტის სუვერენიტეტის, არამედ პალესტინის არაბი ხალხის ეროვნული ინტერესების საზიანოდ. სეპარატული გარიგება უგულებელყოფს თვითგამორკვევისა და დამოუკიდებელი საკუთარი სახელმწიფოს შექმნის განუყოფელ უფლებას და ისრაელის მარადიულ ბატონობას უქადის.

ეგვიპტის პრეზიდენტის მოღალატურ მოქმედებას ტაშისცემით ხვდებიან თელ-ავივსა და ვაშინგტონში. ეს სავსებით გასაგებია, რამდენადაც სადათის კაპიტულაცია ხელს უწყობს ამერიკის იმპერიალიზმისა და საერთაშორისო სიონიზმის სტრატეგიული მიზნების ხორცშესხმას ახლო აღმოსავლეთში. არაბთა საწინააღმდეგო ეგვიპტე-ისრაელის გარიგება პეკინშიც მოიწონეს. როგორც დღეს ფრანს-პრესის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ჩინეთმა ეგვიპტის მსგავსად ყოველგვარი თანამშრომლობა შეწყვიტა პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობასთან, ასეთი ნაბიჯის საბაბი იყო პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის მიერ დაკავებული პოზიცია ვიეტნამში ჩინეთის აგრესიისადმი.

რაც შეეხება არაბულ სამყაროს, იქ კვლავ მატულობს რეგიონის ხალხთა ზურგს უკან დადებული სეპარატული გარიგების წინააღმდეგ პროტესტების ტალღა.

ბეირუთი, 5 აპრილი. (საკდესი). არაბულმა ქვეყნებმა, განაცხადა ლიბანის პარლამენტის თავმჯდომარემ კ. ალ-ასაადმა, უნდა შეიმუშაონ საერთო სტრატეგია, რათა ღირსეული პასუხი გასცენ ეგვიპტე-ისრაელის გარიგებას.

ასეთივე თვალსაზრისი გამოთქვა პალესტინის განთავისუფლების დემოკრატიული ფრონტის გენერალურმა მდივანმა ნ. ჰავატმამ, რომელმაც ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა სიმტკიცისა და წინააღმდეგობის ეროვნული ფრონტის გამაგრება. ეს ფრონტი, განაცხადა მან სირიის გაზეთ „ალ-ბაასისათვის“ მიცემულ ინტერვიუში, პოლიტიკური ოპოზიციის ფრონტიდან არაბულ სამყაროში ეროვნული განთავისუფლების მთელი ძალების სტრატეგიულ კავშირად უნდა იქცეს.

მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის

პეკინი: დიდი ომის იმედით

ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკაზე ჩინელ აგრესორთა თავდასხმა, თარეში ვიეტნამის მრავალტანჯულ მიწა-წყალზე, შანტაჟი და მუქარა მისი მისამართით — ყოველივე ეს მთელი მშვიდობისმოყვარე კაცობრიობის აბუჩად აგდებაა. ეს დანაშაულებრივი ავანტიურა აიძულებს დღეს ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ხალხთა უშიშროებისა და თანამშრომლობის ინტერესები, რაც შეიძლება სერიოზულად ჩაუფიქრდნენ პეკინის ახლანდელ ხელმძღვანელთა პოლიტიკას, მის ნამდვილ მოტივებსა და იმას, თუ რა შეიძლება მოჰყვეს მას.

რა თქმა უნდა, ნახევარმილიონიანი არმიის ძალებით ომის გაჩაღება მეზობლებთან, რათა რაღაცისთვის „დასაჯო“, „ჭკუა ასწავლო“ და „სისხლიანი გაკვეთილი მისცე“, უპრეცედენტო ფაქტია თავისი ცინიზმით. მაგრამ იგი კიდევ უფრო ავბედითს აზრს იძენს, თუ მას განვიხილავთ ჩინეთის ზედაფენის სხვა აქციებთან ერთად, როგორც მაოიზმის დიდმპყრობელური, ჰეგემონისტური პოლიტიკის ერთ-ერთ რგოლს.

დღეს ჩინელმა ბოგდიხანებმა თავიანთ მსხვერპლად აირჩიეს ვიეტნამი, რადგან ამ მომენტში, როგორც ჩანს, იგი მთავარ დაბრკოლებად მიაჩნიათ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში თავიანთი ექსპანსიონისტური გეგმების განხორციელების გზაზე. გარდა ამისა, უნდა ვივარაუდოთ — მათ თავიანთი ანტივიეტნამური აქცია იმიტომ მოახდინეს, რომ მოესინჯათ, როგორ მოეკიდებოდა მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი ამ მიმართულებით გადადგმულ შემდგომ ნაბიჯებს. მაგრამ ვიეტნამს შეიძლება ახალი მსხვერპლი მოჰყვეს, და თუ ჩინეთის ექსტრემიზმს ბოლო არ მოეღო, ვიეტნამზე ჩინეთის თავდასხმის დღე — 1979 წლის 17 თებერვალი — შეიძლება გახდეს მესამე მსოფლიო ომის დასაწყისი, რომელზეც ოცნებობენ სწორედ მაოისტები.

ჩინეთის ახლანდელი ხელმძღვანელები სრულიადაც არ მალავენ, რომ სწორედ ომი მიაჩნიათ მათ მთავარ საშუალებად, რათა გადაწყვიტონ ქვეყნის საზოგადოებრივი განვითარების ძირეული საკითხები, აგრეთვე იმის უმოკლეს გზად, რომ მთელ მსოფლიოში დაამყარონ პეკინის ჰეგემონია. დიდი ომის პრიზმაში ხედავენ ისინი, არსებითად, თავიანთი საშინაო და საგარეო პოლიტიკის ყველა ასპექტს. ამ გზას დღეს როდი დაადგნენ. ჯერ კიდევ 50-იანი წლების დამლევს მაო ძედუნი ამბობდა: „ჩვენი საუკეთესო ნომერია ომი“. მოგვიანებით იგი ასე აყალიბებდა ამ ომის მიზნებს: „აუცილებლად ხელთ უნდა ვიგდოთ სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია, კერძოდ, სამხრეთ ვიეტნამი, ტაილანდი, ბირმა, მალაიზია, სინგაპური... სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია ძალზე მდიდარია, იქ დიდძალი ბუნებრივი წიაღისეულია, ღირს იმ დანახარჯებად, რომლებიც მის ხელში ჩაგდებას დასჭირდება...“ პარალელურად კი უფრო ფართო ამოცანას სახავდა: „უნდა დავიპყროთ მთელი დედამიწის სფერო. ჩვენი ობიექტი მთელი დედამიწის სფეროა“.

ვიეტნამზე თავდასხმას წინ უძღოდა კამპუჩიის ცნობილი ამბები. ეს პატარა ქვეყანა თითქოსდა პირველი საცდელ პოლიგონი გახდა იმისათვის, რომ ჩინეთს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია დაეპყრო. ჩინეთის მხარემ, რომელმაც პოლ პოტ-იენგ სარის პროპეკინური ხროვის საშუალებით კამპუჩიის ხალხს თავს მოახვია პოლიტიკური წყობილების მაოისტური მოდელი, ეს ქვეყანა სისხლიან ჯურღმულად აქცია. რამდენიმე წლიწადში სამ მილიონზე მეტი კამპუჩიელი ფიზიკურად მოსპეს. პნომპენის, აგრეთვე სხვა ქალაქების კიდევ სამ მილიონზე მეტი მცხოვრები იძულებით გაასახლეს სოფლებში, შეყარეს თავისებურ საკონცენტრაციო ბანაკებში, რომლებსაც „შრომით ბრიგადებს“ უწოდებენ, და, არსებითად, ისინიც განწირული არიან მოსასპობად.

დაგეგმილი იყო, რომ ომს, რომელიც პეკინის ბრძანებით პოლპოტელებმა ვიეტნამის წინააღმდეგ გააჩაღეს, კიდევ ორი მილიონი კაცი უნდა ემსხვერპლა. პოლ პოტმა თავისი პეკინელი პატრონების მითითება გაამჟღავნა და საქვეყნოდ განაცხადა, „ახალი წყობილებისათვის“ სავსებით კმარა ცოცხლად დავტოვოთ მილიონი კამპუჩიელიო“.

მაოისტები განაგრძობენ ომის ცეცხლის გაღვივებას. ჯერჯერობით უწინარეს ყოვლისა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ისინი იძულებული არიან გაიყვანონ თავიანთი ჯარები ვიეტნამიდან და იმუქრებიან, რომ ახალ სამხედრო ავანტიურებს გააჩაღებენ ამ ქვეყნის წინააღმდეგ, ჩინეთი დიდ შეიარაღებულ ძალებს უყრის თავს ლაოსის საზღვარზე. არ წყდება ცდები, რომ ამა თუ იმ ფორმით აღადგინონ პოლ პოტის რეჟიმი კამპუჩიაში. ადგენენ გეგმებს, რომ ახალი პოლპოტელები დაასახლონ ბირმაში, ტაილანდში, მალაიზიაში, სადაც ჩინეთის დაზვერვა უკვე მრავალი წელია მხარს უჭერს ეგრეთ წოდებული „მცირე ომების“ კერებს. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ლამის ყველა ქვეყნისადმი ჩინეთის ტერიტორიული პრეტენზიების ვრცელი რეესტრი განუწყვეტლივ უქმნის საფრთხეს მთელი ამ რაიონის უშიშროებას.

ამასთანავე სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში გაბატონება პეკინისათვის მხოლოდ შუალედური ამოცანაა. მაოიზმის საგარეოპოლიტიკური კონცეფციის ობიექტია მთელი მსოფლიო. როგორ შესხან ხორცი დედამიწის სფეროს დაპყრობის შესახებ „დიდი მესაჭის“ ანდერძს? მსოფლიო ბატონობაზე ახლანდელ პრეტენდენტებს, რა თქმა უნდა, ესმით, რომ ამის მიღწევა იოლი არ არის, რომ დღეს ჩინეთი ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისითაც ჯერ კიდევ სუსტია და ვერ უკარნახებს თავის ნებას მთელ მსოფლიოს. სწორედ ამიტომ ადგება პეკინი ახალი მსოფლიო ომის კურსს. მას სურს თერმობირთვულ კონფლიქტში ჩაითრიოს უძლიერესი სახელმწიფოები (უწინარეს ყოვლისა სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები), მოსპოს ან, ყოველ შემთხვევაში, დაასუსტოს ისინი, ისე შეცვალოს მსოფლიოში ძალთა თანაფარდობა, რომ ჩინეთმა თავისი უზარმაზარი მოსახლეობის მეოხებით გარკვეული უპირატესობა შეიძინოს.

ეს ავანტიურისტული კურსი ყველაზე სერიოზულ საფრთხეს უქმნის დღეს მშვიდობას. ეს საფრთხე ახლანდელი ჩინეთის აგრესიული პოლიტიკის ნაყოფია. მაგრამ უნდა ვთქვათ სიმართლე: პასუხისმგებლობა მისი შესაძლო კატასტროფული შედეგებისათვის ეკისრებათ აგრეთვე დასავლეთის პოლიტიკურ წრეებს, რომლებიც ფაქტიურად პირდაპირ თუ არაპირდაპირ აქეზებენ ამ პოლიტიკას. პათოლოგიური ანტისაბჭოურობით შეპყრობილ და დაბრმავებულ ამ წრეებს პეკინის დღევანდელი ხელმძღვანელები მიაჩნიათ იმ ძალად, რომელიც მზად არის შეასრულოს ომის მთავარი წამქეზებლისა და ორგანიზატორის როლი, ესე იგი ის როლი, რომელიც იმავე ლოზუნგებით თავის დროზე ჰიტლერელებმა იკისრეს.

ანტისაბჭოურობის ალმით, იმპერიალისტური ქვეყნების წაქეზებითა და უშუალო დახმარებით ჩინეთი ზრდის აგრესიის არსენალს, როგორც ამას მეორე მსოფლიო ომის წინა ხანებში ნაცისტები შვრებოდნენ. ანტისაბჭოურობის ალმით, იმპერიალიზმთან პარალელური, ზოგჯერ კი შეთანხმებული მოქმედების ტაქტიკის საშუალებით ჩინეთი, როგორც „ნატოს აზიელი წევრი“, ყველგან მსოფლიოში პოლიტიკური ვითარების დესტაბილიზაციასა და გამწვავებას ესწრაფვის. ანტისაბჭოურობის ალმით ჩინეთი ცდილობს შეაკოწიწოს აგრესიული ბლოკი: ვაშინგტონ-პეკინ-ტოკიო, თანაც ორიენტაციას იღებს იმპერიალიზმის ყველაზე ექსტრემისტულ, ყველაზე აგრესიულ დაჯგუფებებზე

რას მოუტანს ეს ავბედითი ალიანსი ადამიანთა ახლანდელ და მომავალ თაობებს? ეს საკითხი უკვე დღეს ჭეშმარიტად გლობალური ხასიათისაა, რადგან ყოველი პატიოსანი ადამიანის, ყოველი ხალხისა და ყოველი სახელმწიფოს საარსებო ინტერესებს შეეხება.

ვ. კორტუნოვი,
ახალი ამბების სააგენტოს პოლიტიკური მიმომხილველი.

პარტიული ცხოვრება: დრო და კომუნისტი

როგორ, რით შევხვდეთ პარტიის მომავალ, XXVI ყრილობას

პასუხისმგებლობის საზომი

ვეხმაურებით წერილს „ჩვენი აქტიური პოზიცია“

ახლახანს ტროლეიბუსში ერთ შორეულ ნაცნობს შევხვდი, რომელიც მუდამ წუწუნითა და ეჭვიანობით იყო ცნობილი. ერთმანეთი მოვიკითხეთ. მერე მისი საქმიანობით დავინტერესდი. როგორც ყოველთვის, არც ამჟამად უღალატა ჩვევას და მოჰყვა ჩივილს ყველასა და ყველაფერზე.

— კი, მაგრამ, რამდენადაც ვიცი, ქარხნის ხელმძღვანელობის ყურადღება და დახმარება არ გაკლია, მშვენიერი ბინაც მიგიღია, ხელფასი კარგი გაქვს, ბიჭი სამედიცინოზე სწავლობს, სიცილით ჩამოვთვალე თითებზე, და კიდევ რით ხარ უკმაყოფილო-მეთქი, ვკითხე.

რახან შემატყო, მის „გასაჭირს“ არ ვიზიარებდი, სიტყვის უთქმელად მოღუშული ჩავიდა ტროლეიბუსიდან.

მართლაც რომ, დაუნახაობა და უსინდისობაა, კაცმა რომ არ აღნიშნო ამ ბოლო წლებში ჩვენს რესპუბლიკაში მომხდარი უდიდესი სასიკეთო ცვლილებები, გარდაქმნები. რამდენი რამ აშენდა, შენდება, აშენდება უახლოეს მომავალში და, რაც მთავარია, რარიგად დაფასდა ალალი შრომა, ნათელი გონება, ნიჭი, პატიოსნება... რომელი ერთი ჩამოვთვალო!

მე და ჩემს თანამოსაქმეებს სიხარულით გვავსებს იმის შეგნება, რომ რესპუბლიკის საერთო წინსვლაში ჩვენი წვლილიც არის. არანაკლებ გვახარებს ისიც, რომ ჩვენმა „სავარდო და სამაისო“ ქუთაისმა წლეულსაც მოიპოვა საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა. არც ჩვენს, ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების კოლექტივს შეურცხვენია თავი — ამ ბოლო წლებში ზედიზედ იმსახურებდა ასეთსავე ჯილდოს, ხოლო წლეულს რესპუბლიკური გარდამავალი წითელი დროშა მივიღეთ.

დიახ, წარმატებები, მართლაც რომ თვალსაჩინოა, მაგრამ გასაკეთებელი და მოსაგვარებელი უფრო მეტი გვაქვს. როგორც ახლახან გამართულ რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე ითქვა, წლეულს საქართველოს მშრომელთა წინაშე მეტად დაძაბული გეგმები დგას და თუ წინა სამი წლის გარკვეული ხარვეზების აღმოფხვრის საჭიროებასაც გავითვალისწინებთ, მაშინ მათი წარმატებით შესრულებისათვის მართლაც მეტად შეუპოვარი მუშაობა დაგვჭირდება. და სავსებით სწორია გაზეთ „კომუნისტში“ ახლახან გამოქვეყნებული წერილის ავტორი, თბილისის საწარმოო გაერთიანება „საქღვინომანქანის“ ხარატი შ. ჯოხაძე, როცა ამბობს, რომ დიდი შრომის სათავეში კვლავაც კომუნისტები უნდა ვიყოთ, ვიშრომოთ, ვიმოქმედოთ ჩვენი მოვალეობის მაღალი შეგნებით, საზრიანობით, საქმის დიდი სიყვარულით.

რას აკეთებენ ამ მხრივ ჩვენი გაერთიანების მშრომელები და, განსაკუთრებით, კომუნისტები? როგორ იღწვიან ისინი პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის?

ჩემი, № 2 საამქროს მაგალითით მოგახსენებთ. ახლა ჩვენთან ყველა კარგად იცნობს № 7 ბრიგადის ხელმძღვანელს, კომუნისტ ქვეოსტატს გ. კუტივაძეს. წინათ იგი სხვა ბრიგადას მეთაურობდა და მუდამ მოწინავეთა შორის იყო. მაგრამ აი მძიმე მდგომარეობა შეიქმნა მეშვიდე ბრიგადაში. ეს კოლექტივი თავს ვერ ართმევდა საწარმოო დავალებათა შესრულებას, აკლდა კვალიფიციური მქსოველები, მუშები ტოვებდნენ სამუშაოს. სასწრაფოდ უნდა გვეღონა რამე. გ. კუტივაძემ გვიხსნა, საკუთარი სურვილით გადავიდა ჩამორჩენილ ბრიგადაში სამუშაოდ. მას მიბაძეს კომუნისტებმა ნ. ვეფხვაძემ, ლ. სირაძემ და სხვებმა. მალე ბრიგადაში საქმე შესამჩნევად გაუმჯობესდა და ამჟამად იგი ერთ-ერთი საუკეთესოა ჩვენს საწარმოში, სხვა ბრიგადები მისგან იღებენ მაგალითს.

მართლაც, რომ დიდია პირადი მაგალითის ძალა. კომუნისტი კი ყველგან და ყველაფერში მისაბაძი, მოწინავე უნდა იყოს. ხოლო თუ ასე არ არის, მაშინ თითოეული გამონაკლისი ფაქტი საგანგებო მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

ერთ მაგალითს მოვიყვან ჩვენი საამქროს პარტორგანიზაციის ცხოვრებიდან. კომუნისტი თ. ანჯაფარიძე გამოცდილი, საქმის მცოდნე მქსოველია. მართალია, მის ნახელავს წუნს ვერ უპოვნიდით, მაგრამ ზოგჯერ შრომის დისციპლინას არღვევდა, საზოგადოებრივ საქმიანობაშიც არ აქტიურობდა მაინცდამაინც. პარტბიურო სერიოზულად დაინტერესდა ამ საკითხით, შეისწავლა იგი. მერე პარტიულ კრებაზე თ. ანჯაფარიძის ანგარიშიც მოვისმინეთ, მეგობრულად, ტაქტიანად, მაგრამ პრინციპულად მოვთხოვეთ მუშაობის გარდაქმნა. ამის შემდეგ მას სისტემატურად ვაკითხავდით, ვეხმარებოდით კრების დადგენილების ზუსტად და დროულად შესრულებაში. სულ მალე თ. ანჯაფარიძე ისე გააქტიურდა, რომ იგი „ა“ ცვლის პარტჯგუფორგად აირჩიეს. ეს ჩვიდმეტკაციანი პარტჯგუფი ამჟამად ერთ-ერთი საუკეთესოა საამქროში.

თუმცა მუშაობაში ჯერ კიდევ შემორჩენილი ფორმალიზმის გამო ყოველთვის ვერ ვაღწევთ ასეთ სასურველ შედეგს. ჯერ-ჯერობით ისევ გვყავს ცალკეული კომუნისტები, რომლებიც თავიანთ მოვალეობად მხოლოდ პარტიული საწევროს დროულად გადახდას და პარტიულ კრებებზე დასწრებას (დიახ, დასწრებას და არა მონაწილეობას) თვლიან. ეს შეუწყნარებელია, რადგან, მოგეხსენებათ, ყოველი პარტორგანიზაცია მისი თითოეული წევრის აქტიურობით არის ძლიერი. ამიტომაც ამ ხრივ მეტი მუშაობა გვმართებს. ცუდია ისიც, რომ დამრიგებლობით მუშაობაში მხოლოდ ცალკეული კომუნისტები არიან ჩაბმული.

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, უარყოფითად მოქმედებს მუშაობის საბოლოო შედეგზე, მაგრამ სხვა ხელშემშლელი მიზეზებიც საკმაოდ გვაქვს. ერთ-ერთია კერძოდ, ნედლეულით ცუდი მომარაგება. მაგალითად, წლეულს მარტო თებერვალში სამტრედიისა და წულუკიძის აბრეშუმის ძაფსაღებსაგრეხმა ფაბრიკებმა მხოლოდ ჩვენს საამქროს ტონა-ნახევარი კრეპის ძაფი დააკლეს. გარდა ამისა, ნედლეულის უქონლობის გამო საამქროში ყოველდღიურად 20-24 დაზგა გაჩერებულია. ხოლო თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ძალიან ხშირად ასეთსავე დღეში არიან გაერთიანების სხვა საამქროებშიც, ზარალი ძალიან მნიშვნელოვანია.

რახან დაზგებზე ჩამოვარდა საუბარი, ერთი ფაქტი მინდა აღვნიშნო, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე ითქვა, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების წარმოებაში დანერგვას. როგორ არის ამ მხრივ საქმე ჩვენთან?

წლეულს ჩვენს საამქროში 10 ახალი დაზგა დავამონტაჟეთ. უნდა გენახათ, რა გახარებულები იყვნენ ამით ჩვენი მოწინავე მქსოველები კომუნისტები შ. გაბუნია, ნ. კვანიკაძე, ი. კანკია, ხ. სვანიძე, ნ. ჭილვარია და სხვები, რა მონდომებით ეხმარებოდნენ ისინი მემონტაჟეებს. მათი სიხარული გასაგებიც იყო — ერთ ახალ დაზგაზე ძველთან შედარებით ხომ თითქმის სამი მეტრით მეტი ქსოვილი იქსოვება საშუალოდ საათში. ხოლო ყოველი კეთილსინდისიერი მუშის სურვილია, რაც შეიძლება მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქცია დაამზადოს.

თუმცა ხანმოკლე გამოდგა მათი სიხარული. საქმე ის არის, რომ, ჩვენ სულ ცოტა 360 ასეთი ახალი დაზგა გვჭირდება, წლეულს, მხოლოდ 12 გამოგვიყვეს. არადა, ხომ ყველასათვის ნათელია, რომ მოძველებული მოწყობილობები და დაზგა-დანადგარები ამუხრუჭებს წარმოებას, ამცირებს შრომის ნაყოფიერებას. რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ უფრო სერიოზულად უნდა იზრუნოს ამ საკითხის მოგვარებისათვის.

ხშირად გამიგონია, ეს დალოცვილი დრო ისე ელვისებურად გარბის, თვალდახელშუა გაგეპარება. ამიტომაც, როდესაც ისმება კითხვა, თუ როგორ, რით შევხვდეთ პარტიის მომავალ, XXVI ყრილობას, თამამად ვიტყვი: ახალი წარმატებების მოპოვების ერთ-ერთი საუკეთესო რეზერვია ყოველი სამუშაო წუთის ყაირათიანი გამოყენება და მინდობილი საქმისათვის უდიდესი პირადი პასუხისმგებლობა.

პასუხისმგებლობაზე განსაკუთრებით მინდა ვთქვა. ყველა მართლაც რომ ჯეროვანი პასუხისმგებლობით იბრძოდეს ჩვენი საერთო საქმის გამარჯვებისათვის, კეთილსინდისიერად ასრულებდეს საბჭოთა მოქალაქის მოვალეობებს, მაშინ არც ბევრი ნაკლოვანება გვექნებოდა და ვერც ისინი იბოგინებდნენ ჩვენს საზოგადოებაში, ვინც მოხვეჭის ცხოველური ინსტინქტით შეპყრობილნი მთელ თავიანთ ძალ-ღონესა და შესაძლებლობებს მხოლოდ იმას ახმარენ, თუ რა, როგორ წაგლიჯონ ქვეყანას, ხალხს.

პასუხისმგებლობის გრძნობა ყველას რომ გვქონდეს, ნაკლს თვალს არ მოვუხუჭავდით. განა სწორედ ჩვენი უპასუხისმგებლობის, „სხვის საქმეში ჩაურევლობის“ პოზიციის შედეგი არ არის, რომ ჯერ კიდევ ბევრი ბოროტმოქმედება, დანაშაული ხდება?!

ავიღოთ თუნდაც ჩემი მშობლიური ქუთაისი. წლეულს თებერვალში საქალაქო საბჭოს აქტივის კრებამ განიხილა ვაჭრობის, მშრომელთა კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების საკითხები თბილისის XXXVII პარტიულ კონფერენციაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. შევარდნაძის მიერ წარმოთქმული სიტყვის მიხედვით. ბევრი ნაკლოვანება გამომჟღავნდა. და განა ეს თითოეული ჩვენგანის, ყოველი მოქალაქის პასიური პოზიციის ბრალიც არ არის? განა მარტოოდენ ადმინისტრაციული ორგანოები უნდა იბრძოდნენ დანაშაულობათა წინააღმდეგ?

თუ ამ ნაკლოვანებებს გამოვასწორებთ, თუ ყველა იმ ამოცანას მთლიანად და დროზე გადავწყვეტთ, რაც სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობებმა დაგვისახეს, ყველაზე საუკეთესო საჩუქარი იქნება პარტიის მომავალი, XXVI ყრილობისათვის. ეს კი ჩემი, შენი, ჩვენი — ყველას საქმეა.

გურანდა გოგოლაძე,
ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მეთაური საწარმოს № 2 საქსოვი საამქროს პარტბიუროს მდივანი.

საწარმო და სამინისტრო

ჩამორჩენა დაძლიეს, მაგრამ

ოცდაათიოდე წლის წინათ ქალაქ ცხაკაიას მცენარის სადეგუმაციო ქარხნის ბაზაზე საფუძველი ჩაეყარა ქართული ხალიჩის წარმოებას. შემდეგ იგი ხალიჩების კომბინატად გადაიქცა.

ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით კომბინატი ყოველთვის როდი იყო სათანადო სიმაღლეზე. ამას ისიც დაერთო, რომ აქ მხილებულ იქნა დამტაცებელთა ჯგუფი, რომელმაც საგრძნობლად შელახა საწარმოს კოლექტივის პრესტიჟი.

ბოლო ხანებში მდგომარეობა გაუმჯობესდა და აი მეათე ხუთწლედის მეორე წელს გამოშვებული იყო 312.000 მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. უკეთეს შედეგებს მიაღწია კომბინატმა შარშან. პროდუქციის წარმოება აქ 19,1 პროცენტით გაიზარდა. კომბინატი ამჟამად 9 სახეობის სახელმწიფო ხარისხისნიშნიან პროდუქციას უშვებს, რომლის ხვედრითმა წილმა წარმოების მოცულობაში 37,5 პროცენტი შეადგინა. აღსანიშნავია ისიც, რომ სართავი და საქსოვი საამქროების კოლექტივებმა შარშან კომბინატის ისტორიაში პირველად შეასრულეს მხოლოდ ნართის გამოშვების სახელმწიფო დავალებები.

მაგრამ მიღწეული მაინც არ იძლევა თვითდამშვიდების საფუძველს. მიმდინარე წელს კომბინატის კოლექტივი გაცილებით დიდი ამოცანების წინაშე დგას. მათ 32.500 ათასი მანეთის მთლიანი პროდუქცია უნდა აწარმოონ. მეთერთმეტე ხუთწლედის ბოლოს, როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, ეს მაჩვენებელი 40 მილიონ მანეთამდე გაიზრდება.

მზად არიან თუ არა ყოველივე ამისათვის ცხაკაიელი მეხალიჩეები, როგორია მათი ტექნიკური არსენალი?

თუ ღრმად გავაანალიზებთ კომბინატის საქმიანობას, საფუძვლიანად გავეცნობით მის ტექნიკურ აღჭურვილობას, ამ კითხვებზე, სამწუხაროდ, დადებით პასუხს ვერ მივიღებთ. დიახ, ამ მხრივ, მდგომარეობა მეტისმეტად არასახარბიელოა. კომბინატს შემორჩა 30-40 წლის წინათ გამოშვებული დაზგები, რომელთა სათადარიგო ნაწილები დღეს იშვიათ „სამუზეუმო ექსპონატებად“ ითვლება. რახან დეტალები არ იშოვება, მათ აქ პრიმიტიულად ამზადებენ, მაგრამ შედეგი? ირღვევა საქსოვი დაზგების სინქრონულობა, რამაც, საბოლოო ანგარიშით, პროდუქციის ხარისხი გააუარესა.

ცხაკაიელებს დიდი „მიდრეკილება“ აქვთ „ანტიკვარული დეტალებისადმი“. აბა სხვაგვარად როგორ იტყვი იმაზე, რომ აქ ხმარობენ ხის მასრებს, რომლებსაც დღეს იშვიათად თუ შეხვდებით ჩვენი ქვეყნის მონათესავე საწარმოებში.

ამის შესახებ ზოგადი ლაპარაკი არცთუ ისე იშვიათია რესპუბლიკის საფეიქრო მრეწველობის მესვეურთა შორის, მაგრამ, სამწუხაროდ კომბინატის თანამედროვე ტექნიკით აღჭურვაზე თავს არავინ იწუხებს. ცხაკაიას ხალიჩების კომბინატში საქსოვი დანადგარები ხომ ძირითადად იმპორტულია? კი მაგრამ ისინი კარგა ხანია როგორც მორალურად, ისე ფიზიკურად გაცვდნენ, მათთვის საჭირო სათადარიგო ნაწილები კი, როგორც აღვნიშნეთ, მეტად ძვირს. რა არის გამოსავალი? მაგალითად, ლუბერცის მონათესავე კომბინატში მძლავრი დამხმარე სახელოსნო-საამქროები აშენეს. რატომ, განა არ შეიძლება ცხაკაიელ მეხალიჩეებსაც ჰქონდეთ ისეთი სახელოსნო, რომელიც აღჭურვილი იქნება სამსხმელო, ლითონსაჭრელი და საზეინკლო დანადგარებით? ასეთ პირობებში სათადარიგო ნაწილების საკითხი მოიხსნებოდა დღის წესრიგიდან.

კომბინატის ეკონომიკისა და მწარმოებლობის ზრდაზე უარყოფით გავლენას ახდენს აგრეთვე წამყვანი პროფესიების მუშახელის ნაკლებობა. არ ჰყოფნით მრთველები, მქსოველ-მემასრეები, მეფთილეები და ქვეოსტატები.

სოფელ თეკლათში ხაოიანი ქსოვილების ფაბრიკის გაუქმების შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ იქაური მქსოველები კომბინატს მოაშურებდნენ, მაგრამ ასე არ მომხდარა. კომბინატის დირექციამ და პარტიულმა კომიტეტმა, პარტიის რაიონული კომიტეტის შესაბამისმა განყოფილებამ ამ საკითხზე დროულად არ იზრუნეს. ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ცხაკაიას № 66 პროფტექნიკური სასწავლებლის საქმიანობა კომბინატისათვის კადრების აღზრდის საქმეში. გარკვეული შეფერხებებია ცენტრალიზებული წესით მომარაგებაში. კომბინატს ერთი სატვირთო მანქანაც კი არა აქვს. არ ჰყოფნით საცხოვრებელი ბინები, დიდია მუშახელის დენადობა.

ჩვენი აზრით, რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ პარტიის ცხაკაიას რაიონულ კომიტეტთან ერთად უფრო ქმედითი დახმარება უნდა გაუწიოს მეხალიჩეებს, რათა ისინი მტკიცედ ჩადგნენ რესპუბლიკის მოწინავე საწარმოთა რიგებში.

ბ. მილიუტინი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

შოთა ნიშნიანიძე 50 წლისაა

ცნობილ ქართველ პოეტს, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატს, ალმანახ „საუნჯის“ მთავარ რედაქტორს შოთა ნიშნიანიძეს დაბადების 50 წელი შეუსრულდა. ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით და საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის პოეტი დაჯილდოებულია მთავრობის საპატიო ჯილდოთი — შრომის წითელი დროშის ორდენით. ქვემოთ დაბეჭდილ წერილებში ლაპარაკია შოთა ნიშნიანიძის შემოქმედებაზე, ქართულ პოეზიაში მის ნოვატორულ ძიებებზე, ჩვენი ხალხის გულითად სიყვარულსა და პატივისცემაზე, რაც მან გრძნობის ამამაღლებელი და სულის გამკეთილშობილებელი პოეტური სიტყვით მოიმკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეტის ნახევარი საუკუნე

გილგამეშისა და ჰომეროსის ეპოსიდან მოყოლებული პოეზიის არსი და დანიშნულება დღემდე უცვლელი რჩება. ყოველ შემთხვევაში, ძირითადი ფონდი იდეებისა დროის მიმართ არაჩვეულებრივ გამძლეობას იჩენს და მხოლოდ გარეგნულ, არაარსებითს სახეცვლილებებს ექვემდებარება. და მაინც, ყველა ჭეშმარიტი შემოქმედი სიახლისა და განსხვავებულისაკენ ისწრაფვის, ცდილობს თავისებური იყოს და არ გაიმეოროს ის, რაც სხვას შეუქმნია. სიახლის ძიება მეტწილად გარეგნულ გამომსახველობაზე ვრცელდება ხოლმე და ყოველთვის როდია სიღრმისეული. მაგრამ, როცა შემოქმედის ძიება ორივე ამ განზომილებას ერთნაირი წარმატებით და შთაგონებით სწვდება, მაშინ ხდება ის არსებითი განახლება, რომელიც ასე იშვიათია ხელოვნებისა და ლიტერატურის ისტორიაში. მრავალსაუკუნოვან ქართულ პოეზიაში ასეთი განახლება რუსთაველის შემდეგ დავით გურამიშვილის თაობამ მოიტანა, ხოლო შემდგომ, ერთი საუკუნის მანძილზე, ჯერ ბარათაშვილი გვევლინება ქართული მწერლობის ახალი ძვრების გვირგვინად, შემდეგ — ვაჟა-ფშაველა.

ჩვენს საუკუნეში ქართული პოეზია ახალ იდეებსა და ფორმებს გალაკტიონ ტაბიძის თაობამ აზიარა. ამ თაობის მოღვაწეობის დასრულებით დამთავრდა ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი ქართული მწერლობის განვითარებისა.

მაგრამ ძიება გრძელდება. ნიჭიერება ინერციასა და ეპიგონობას ვერ ეგუება და დღევანდელ ქართველ პოეტთაგან საუკეთესონი ახალი ჰორიზონტების დანახვას, ახალი გზების გაკაფვას ცდილობენ. ეს ძიება კვლავაც ორი მიმართულებით გრძელდება: ერთნი — ფორმის განახლებას ესწრაფვიან, მეორენი — წარმოსახვის სიღრმეთა ახალი შრეების წვდომისაკენ მიმართავენ თავიანთ ცდასა და შემართებას.

შოთა ნიშნიანიძე ერთი პირველთაგანია იმათ შორის, ვინც უკანასკნელ ათწლეულში ქართული პოეზიის მოყვარულთ ახალი სიხარული და იმედი მოუტანა. მან მწერლობაში ფეხის შემოდგმისთანავე მიიპყრო ჩვენი ყურადღება იმ თავისთავადობით, რომელიც ბუნებრივად ამოჰყვა მის ხმას და, რომელსაც შემდგომში გულწრფელობის მომხიბლაობა არასოდეს მოჰკლებია. ისიც ახლის მაძიებელი შემოქმედია, ოღონდ თავის გამარჯვების საწინდარს სიტყვის გარეგანი სამოსელის არაჩვეულებრივობაში კი არ ხედავს, არამედ იმ აზრობრივ და ემოციურ დატვირთვაში, წარმოსახვის ორიგინალურობასა და ფანტაზიის მრავალფეროვნებაში ეძებს, რომლითაც ესოდენ მდიდარია მისი შთაგონება.

შოთა ნიშნიანიძემ სიყვარულით გამთბარი არა ერთი სტრიქონი უძღვნა უღლის ერთგულად გამწევ ხარებს, ქართველი გლეხის მარჩენალ ღვინიებსა და ნაყირებს. პოეტი თავად ჰგავს იმ ქედდაუდრეკელ ხარებს არა მარტო ღონითა და თავისი უღლისადმი ერთგულებით, არამედ იმ სიმართლითა და ძალის დაუზოგავობით, რომლითაც თავის მაღალ მოწოდებას ემსახურება:

მე ვარ მისანი ხარი წიქარა,
შენი დვრიტა ვარ, მამულ-დედულო,
ზღაპრიდან მისთვის გამოვიპარე,
რომ გემსახურო და გიერთგულო.
შენი უღელი მემჩატოს აგრემც,
ქედზე რომ მადგას განაჩენივით,
არ მომიღერო გეთაყვა სახრე,
სიყვარულისთვის ვარ გაჩენილი.

შოთა ნიშნიანიძე ჩვენი საუკუნის პოეტია, იგი ატომისა და კოსმოსის ათვისების ეპოქაში ცხოვრობს და მის ლექსებში ჩვენი თანამედროვეობა სუნთქავს თავისი შფოთითა და მღელვარებით.

იგი ერთნაირი სიყვარულით გვიხატავს ლენინგრადის ბლოკადაში მომწყვდეულ გმირებს თუ პარიზის ბარიკადებზე დაცემულ კომუნარებს.

მან კარგად იცის, რისთვისაც არის მოწოდებული მისი შემოქმედება:.

რახან ხალხს უნდა ლექსიც, მუსიკაც —
და მსახური ხარ რახან,
საწერ მაგიდას კი არ უზიხარ —
ბარიკადაზე დგახარ.

ამ შეგნებით გამსჭვალულმა პოეტმა არა ერთი შესანიშნავი ლექსი („კომუნისტები“ და სხვ.) შექმნა ჩვენი ხალხის ბრძოლისა და შრომის თემაზე და ეს ლექსები ახალი ქართული სამოქალაქო ლირიკის საუკეთესო მიღწევებს განეკუთვნება.

მახლობელი და თანამედროვეა შოთა ნიშნიანიძისათვის ისტორიული წარსული. მის ლექსებში ახალი სიცოცხლით ცოცხლდებიან ძველი ტაძრები და ბებერი ციხეები, მათი მშენებლები და მათ ზღუდეებთან გმირულად დაცემული ქართველი ვაჟკაცები.

შოთა ნიშნიანიძის პოეზიას კიდევ ერთი ფრთა აქვს. ეს ფრთა ქართული მითოლოგიაა. მის ლექსებში ჭინკები და ოჩოკოჩები, ტყისკაცები და ქონდრისკაცები, დევები და კუდიანები ისევე შინაურად გრძნობენ თავს, როგორც ქართულ ზღაპრებში. მას გასაოცარი ხილვა აქვს და მისი ფანტაზია ხშირად გვაკვირვებს დანახულის მოულოდნელობით, წარმოსახვის უჩვეულობით, უხვად დახვავებული მეტაფორების თავისებურებით. იგი თვითონვე შესანიშნავად ამბობს თავის შთაგონებაზე:

რიონზე გამოვზარდე, ამოვდე ალიკაპი,
რძე ვასვი ამორძალთა და ელვაც ჩავაყლაპე.

მართლაც ადიდებული რიონივით ძლიერია და კალაპოტში დაუტეველი შოთა ნიშნიანიძის პოეტური ენერგია. იგი ბევრს წერს, მაგრამ მისი ლექსის კითხვისას მუდამ გრძნობ, რომ ყველაფერი ბოლომდე არ უთქვამს და, რომ სათქმელი კიდევ ბევრი აქვს. იგი ლექსის საუკეთესო ოსტატია და სიტყვას, როგორც უნდა ისე ატრიალებს, მაგრამ მის ლექსს დაუფლებული ფორმების ლაგამი ბოლომდე ვერ აოკებს და დღემდე კიდევ ძველებურად გაუხედნელი კვიცის ღონე და ლაღი ზნე აქვს შერჩენილი. შოთა ნიშნიანიძის ბოლოდროინდელ ლექსებს წუთისოფლის ბრუნვაზე დაფიქრებული კაცის სევდა შეეპარა. კარგი პოეტისათვის ესეც ბუნებრივია და ჩვენ მის პოეზიაში მუდამ გვიზიდავს სიკეთისა და ადამიანობის მადიდებელი შემოქმედის სიმართლე.

ქართულ საბჭოთა პოეზიაში შოთა ნიშნიანიძემ უკვე მონახა და დაიმკვიდრა თავისი ადგილი. მას წინ კიდევ დიდი გზა აქვს და ვუსურვოთ პოეტს, გრძელ მარათონზე ბოლომდე გაჰყოლოდეს ის ძლიერი და ჯანსაღი სუნთქვა, რომელიც მას ასე გამოარჩევს დღევანდელ ქართულ პოეზიაში და რომლის გამოც იგი მკითხველმა ასე შეიყვარა!

გრიგოლ აბაშიძე.

მზე, დაუმცხრალი

პატივცემულო შოთა!

გილოცავთ დაბადების 50-ე წლისთავს, გისურვებთ სიჭაბუკეს,, ხალისით სავსეს, გრძნობათა ყვავილობას, რომ საუკუნეებში ელვარებდეს თქვენი მშვენიერი პოეზიის მზე დაუმცხრალი, ციური მადლით ღვიოდეს თქვენი შემოქმედება.

თქვენ იუფლეთ ჯილდო ნაბოძები ღვთისგან, ამიტომ პოეზიის ამურის ძალით არის დაისრული თქვენი პოეტური ბუნება და ზოგჯერ გულს გითრთოლებთ სევდა, რადგან პოეზია საწუთროს უზენაესი მშვენებაა.

„ათასში ერთხელ კი არა, მუდამ ხელთ გიპყრიათ კვერთხი წინასწარმეტყველისა“ — ღვთიური პოეტი ბრძანდებით, თქვენ ისწრაფოდით, რომ გეხილათ ჭეშმარიტება, საბურველი ჩამოხადეთ მშვენიერებას და სიბრძნეს, იგემეთ მისი ჯადოსნური ნექტარი.

დღეს თქვენ პოეზიის სახელქებული რაინდი ბრძანდებით, თქვენი ლექსებით ესალმებით ქართველ ხალხს და ღვთიური ნიჭით ცხებულ ქართულ მიწა-წყალს.

მიხარია, რომ თქვენს გულში ღვივის სიყვარული და დიდების გრძნობა მიქელანჯელოს მიმართ, მას ხომ ნორჩ ყრმასავით წმინდა აქვს სული.

იცოცხლეთ, იდღეგრძელეთ, მეგობრობის, სიყვარულის და მშვიდობის ძალის მგრძნობელო პოეტო.

სიყვარულით **ლადო გუდიაშვილი.**

გულმართალი

დიდი ხნის მეგობრობა და შემოქმედებითი ურთიერთობა მაკავშირებს შოთა ნიშნიანიძესთან. გულით ვულოცავ ქართული პოეზიის ერთ-ერთ შესანიშნავ წარმომადგენელს მთავრობის მაღალ ჯილდოს.

შოთა ნიშნიანიძის პოეზია გამოირჩევა თანამედროვე ჟღერადობით, პოეტური მგზნებარებით და დიდი ადამიანური სითბოთი. მისი შესანიშნავი ლექსი „ხარი“ ქართველი მშრომელი გლეხკაცის ნამდვილი საგალობელია. ასევე მშვენიერია მისი „დიოსკურია“, ხოლო ლექსი კომუნისტებზე დიდი შემართებით, სიმართლითა და პათოსით არის დაწერილი. აქ უცხოა მოჩვენებითი, ყალბი დეკორაციულობა.

დიდი დახმარება აღმომიჩინა შოთა ნიშნიანიძემ „მთვარის მოტაცებაზე“ მუშაობის დროს, ლიბრეტოს ლექსად აჟღერებისას.

შოთა ნიშნიანიძე თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტი და მოტრფიალეა.

კიდევ ერთხელ ვულოცავ იუბილარს, მეგობრულად ვეხვევი და ვუსურვებ მრავალ პოეტურ გამარჯვებას ქართული საბჭოთა პოეზიის საკეთილდღეოდ.

ოთარ თაქთაქიშვილი.

მაღალი სულის პოეზია

შოთა ნიშნიანიძესთან, მის პოეზიასთან ჩემს შემოქმედებით მეგობრობას საფუძველი მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელმა ჩაუყარა. რუსთაველის პროსპექტზე შემხვდა ელგუჯა და გაზეთ „ლიტერატურული საქართველოდან“ საგანგებოდ ამოჭრილი ლექსი გამომიწოდა, თქვენი წასაკითხიაო, მითხრა. ეს იყო შოთა ნიშნიანიძის ლექსი „ხევსური“. ძალიან მომეწონა, წავიკითხე რადიოთი გამოსვლისას, შემდეგ კი ჩემს რეპერტუარშიც შევიტანე. „ხევსურს“ მოჰყვა საუკეთესო პოეტური ნაწარმოებები: „ციხე-ტაძართა საგალობელი“, „ხარი“, „ვეფხვი“, „კომუნისტები“ და სხვ.

ასე დაიწყო ჩემი მეგობრობა პოეტთან, რომლის ძარღვიანი ქართულით დაწერილი პატრიოტული ლექსები მხატვრული კითხვისათვის მართლაც კარგი „მასალაა“.

შამბნარში მოთახთახე ვეფხვი, თუ ფიქრები ციხე-ტაძართა ქონგურებზე, სალუდე დუქანთან ახორხოცებული ხევსური თუ მოჭირნახულე ხარი, პოეტს იმისთვის სჭირდება, რომ დიდი საგალობელი თქვას თავის ქვეყანაზე.

როდესაც შოთა ნიშნიანიძის ლექსებს ვკითხულობ ესტრადაზე, პოეზიის საღამოზე, ან ჩემთვის, უბრალოდ შინაურ სიმყუდროვეში, მთელი სიცხადით ვგრძნობ ქართული ლექსის ძალას, სილამაზესა და სიმაღლეს. მე ყოველთვის დიდ სიამოვნებას მანიჭებს შოთა ნიშნიანიძის პოეზიასთან შეხვედრა, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ეს მაღალი და რაინდული სულის პოეზიაა.

პოეტს მსურს მივულოცო 50 წლის იუბილე და დიდი მადლობა მოვახსენო იმ სიხარულისათვის, რომელსაც ჩვენ განვიცდით, მის ჭეშმარიტ პოეზიას ნაზიარებნი.

ტარიელ საყვარელიძე.

ქართული აქილევსური ფარით

შოთა ნიშნიანიძის, შოთა რუსთაველის პრემიის ღირსეული კავალერის, ჩვენი რჩეული პოეტის ეს ნახევარსაუკუნოვანი ცხოვრების გზა ბევრ „საჭირო და სალხინო“ გრძნობას აღძრავს მაღალი პოეზიის მოყვარეთა გულსა და გონებაში. ეს სავსებით ბუნებრივია, რამეთუ შოთა ნიშნიანიძეს თავისი „ნახევარი გზის“ გასწვრივ, მშობელი ხალხისთვის სწორედ მრავალი „საჭირო და სალხინო“ უმღერია ზღაპრული წიქარას სალამურებით.

ორი ათას რვაასი წლის წინათ მგოსანთა ზევსმა, ჰომეროსმა მთელი სამყარო, — მიწა, ზღვა, ცა, ვარსკვლავეთი, კაცობრიობა და მისი საქმენი — უზენაესი ხელოვნებით ერთ პოეტურ ლოკალზე, აქილევსის ფარზე მოაქცია (ილიადა, მე-18 სიმღერა), ეს უძველესი სიმბოლიკა შოთა ნიშნიანიძემ ქართულ მწერლობაში შემოიტანა და დიდი წარმატებით შეუსისხლხორცა ქართული პოეტური აზროვნების კუნთმაგარ სხეულს. ქართველმა პოეტმა ცალკე ციკლი შექმნა — „აქილევსის ფარი და მახვილი“. თუმცა შეიძლებოდა ნიშნიანიძის მთელს შემოქმედებასაც დარქმეოდა „ქართული აქილევსური ფარი“, რამეთუ პოეტის მუზათა სარბიელი ქართული სამყაროს ყოველ უბანს მოიცავს — ქართულ მიწას, ქართულ ზეცას, ქართველთა ცხოვრებას, შრომას, ბრძოლას, ყოველ საჭირვებელსა და სალხინებელს.

შოთა ნიშნიანიძე, ვითარცა ყოველი ჭეშმარიტი კაზმულმესიტყვე, ერთ მთლიან, განურღვეველ სხეულად წარმოსახავს სამშობლო ქვეყნის წარსულს და მომავალს. „ორი მსაჯული და ორი კერპი: წინაპარი და შთამომავალი“, — აცხადებს პოეტი და მისი შემოქმედება გახლავთ ამ აღსარების სრულიად დამაჯერებელი დადასტურება.

პოეტს დიდებულად ხელეწიფება თითო-ოროლა ლაკონიურ სტრიქონში მოაქციოს მრავალმეტყველება აზრისა, სურათისა, ხასიათისა, განწყობილებისა.

წინ ისევ დიდი გზა უძევს, მრავალი პოეტური სახე უცდის მის მადლიან კალამს; მრავალი „საფიქრალი უზის მუხლზე მშიერ ბალღივით“... არასოდეს დაცემულიყოს მისი „ერკემალივით ნასუქარი ზორბა სტრიქონი“. კიდევ მრავალი მისი კეთილი წიგნი შემატებოდეს ქართველი კაცის კულტურულ საწიგნობელს.

ლევან სანიკიძე.

შოთა ნიშნიანიძე

ქართული ვენახ-ლაშქრის სადიდებელი

I

მთებს შეხიზვნია შურისძიებად
წარსულში ვაზიც და ტყის კორომიც,
პატარ-პატარა ეკლესიების
და ციხეების წინამძღოლობით.

მათთან ვერ მოვა ძველთა ელინთა
თუ რომაელთა ფხიანი ჯარი,
სამხედრო საქმის მთელი ელიტა,
გრენადერი თუ იანიჩარი.

ვერც ჯვაროსნები მირონცხებული,
ვერც მუშკეტერთა კასტა საქები,
ვერც, თუნდაც თავზე ხელაღებული,
მამელუკები და კაზაკები.

— მაგ დევის სისხლში პური ჩაფშვენი,
ჩემო წარსულო შე ქვრივ-ოხერო,—
დაიზრდებიან ჩვენი ბავშვები,
როგორც ალგეთზე მგლები ბოლვერა.

მათაც ჩაუდგეთ სული ვენახის
და თუ მოგიხტა სპარსი ან თურქი, –
ვერ გაიხაროს — მტერმა ვერ ნახოს
მაგ ბოლიწოთი გაზრდილის ზურგი.

II

ჰეი, სმენა, სწორება —
ხოტბას გასხამ საჯაროდ,
სალამი უძლეველო
იბერიის ლაშქარო!

ვაშა გმირთა სულებო,
ვაზად გარდასახულო,
გმადლობთ რაკი ისევე
ქართულ ჯარში მსახურობთ.

შაბიამნით ნაფერო
კერპ-ბომონო წარმართთა,
სალამი საქართველოს
უძლეველო არმადა!

III

სულ ჯარი გაკლდა, მამულო, მოსილო ათას სიკეთით,
ომებს კი დამარცხებულიც ამ დიდი ლაშქრით იგებდი.
ჭირიც და სნეულებანიც ამ ლაშქრით გიოტებია.
ვაზის ძირები, ლერწები სულ შენი იოგებია.

ღმერთო, ეს ჯარი მიმრავლე, ეს ჯარი მომე ურიცხვი,
სხვა ჯარისკაცი არ მინდა სამშობლოს სამსახურისთვის.
ვინც პურს მთხოვს — სახლში ვისტუმრებ, პურს ვურჩევ თავთუხისასა,
თუ ხორცს მთხოვს, — მისი ჭირიმე, ხორცს ვურჩევ ხოხობისასა.

თუ წყალს მთხოვს — ღვინოს მივართმევ, სასმელს შევურჩევ ღვთისასა,
თუ ქალს მთხოვს—(დაე იცოდეს) ბედსა ვწევ ყივჩაღისასა!
„ღვინო შე ჭაჭანაის ძევ, უცეცხლოდ ამოდუღდები,
ჭკვიან კაცთანა ბრძენი ხარ, უჭკვოსთან ამოქუხდები“.

სანამ ტკბილი ხარ — ცეტი ხარ, გეტანებიან ცეტებიც;
სიტკბოთი აშვებული ხარ და სიმწრით დაგვიბრძენდები.
ეჰ, მხიარულო მაჭარო, ზნე გივლის შფოთის, დამსხვრევის,
ტკბილი ცხოვრება გაჯანყებს, გამწარდები და... დაცხრები.

შენ ანუგეშე ბედკრული, კაცი ვარამით გამშრალი,
ბებერი გააყმაწვილე და გაალომე ლაჩარი.
ძუნწი გახადე გულუხვი, დაფნის არიგოს რტოები;
მოშურნე დამიმეგობრე სუფრაზე მაინც... დროებით.

უსტუმროს, უპურმარილოს ქვევრში უსხია ქძაფი,
ქართველი ავადმყოფობას უქეიფობას ეძახის.
შესვამ და კიდეც გახდები უფრო გულადიც, პურადიც,
თან სხვაზე კარგი მგოსანი — ქვეყნის ზვარაკი კურატი.

IV

ვაზმა გამოფოთლა თითონ სამარის ქვაც,
ტანი გამოფოთლა ციხე — მონასტერთა
და ზეატყორცნილი თაღთა კამარისგან,
როგორც წამებული ისე მოგვაშტერდა.
იყავ კურთხეული ვაზო მაცხოვარო,
ამერ — იმიერის ძუძუს მაწოვარო.
შენი სიმფონია ლერწებ — კრიმანჭულა
გაფოთლილა ქართულ როკვა-გალობაში,
ხეზე გასულო და სარზე მიკანჭულო,
შენ კი გენაცვალე გავლა-გამოვლაში.

V

ჩაიცვ, საქართველოვ, ვენახის წვრილთვალა, —
ღვთით დაგეწინდა რა!

შაიბ, საყვარელო, მზის ოქროს მახვილი!
მეც წინაპარივით ქუდზე კაცს გავყვირი.

და მრავალ ათეულ ბუნების ჯარისკაცს
შენს მეციხოვნეთა რიგებში ჩავრიცხავ!

სუფრა და სტუმარი ღვთით დაგეწინდა რა,—
ჩაიცვ, საქართველოვ, ვენახის წვრილთვალა!...

6. IV. 79 წ.

კოსმოსური ორბიტა

სადგურის ახალი სიცოცხლე

„პროგრეს-5“ სატვირთო ხომალდი, რომელიც სამი კვირის განმავლობაში „სალუტ-6“ სადგურთან ერთად დაფრინავდა, 3 აპრილს საღამოს მოსცილდა სადგურს და ავტონომიური ფრენა დაიწყო. „სამწუხაროა, რომ კოსმოსურ ორბიტაზე, როგორც მოსკოვის ქუჩებში, აკრძალულია ხმოვანი სიგნალები, თორემ სირენას ჩავრთავდი“, — გაგვიზიარა თავისი შთაბეჭდილებანი განპირაპირების მომენტში ეკიპაჟის მეთაურმა ვ. ლიახოვმა.

ბევრ კოსმონავტს, რომლებიც ორბიტაზე დახვედრიან პილოტირებულ და სატვირთო ხომალდებს და ისინი დედამიწაზე გაუცილებიათ, აღუნიშნავთ, რომ ასეთი მომენტები დიდ ემოციურ აღმაფრენას, პროგრამის მორიგი პუნქტის შესრულების გამო კმაყოფილების გრძნობას იწვევს, ეს დღე, როცა ეკიპაჟის მეთაურს „პროგრეს-5“ ხომალდის გამოსათხოვარი საყვირის ხმის მოსმენა უნდოდა, მნიშვნელოვანი ეტაპი გახდა ახლანდელი ექსპედიციისათვის. კოსმონავტებმა მართვის ცენტრთან ერთად დაამთავრეს პროფილაქტიკური და სარემონტო სამუშაოების მთელი კომპლექსი, აგრეთვე მჟანგველით სადგურის კმაგაწყობა, სამეცნიერო მოწყობილობის განახლება.

ხუთი კვირა, რომლებიც „სოიუზ-32“ ეკიპაჟმა ორბიტაზე გაატარა, თქვა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა კ. ფეოქტისტოვმა, ფაქტიურად შეიძლება რამდენადმე გახანგრძლივებული გრაფიკით სადგურის განკონსერვების პერიოდად ჩაითვალოს. თითოეული მორიგი ექსპედიცია, რომელიც ორბიტულ სადგურში სახლდებოდა, რამდენიმე დღის განმავლობაში თითქოს ხელახლა იწყებდა ცხოვრებას სამეცნიერო სახლში, ამზადებდა მის სისტემებს, მოწყობილობას ექსპერიმენტებისათვის, ამჯერად სადგურს, რომელშიც შარშან მიღწეული იყო რეკორდული შედეგები, როგორც პილოტირებული ექსპედიციების ხანგრძლივობით, ისე შესრულებულ ექსპერიმენტთა მოცულობით, განსაკუთრებული პროფილაქტიკური მოვლა სჭირდებოდა. კოსმონავტებმაც, რომლებმაც დედამიწაზე დაწვრილებითი ინსტრუქციები მიიღეს, ბრწყინვალედ გაართვეს თავი ორბიტული ლაბორატორიის სიცოცხლის გახანგრძლივების პროექტის რეალიზაციას.

კოსმონავტებმა შეძლეს განეახლებინათ ენერგეტიკა, სიცოცხლის უზრუნველყოფის სისტემა, აპარატურა რადიო და სატელევიზიო კავშირისათვის, სკაფანდრები ღია კოსმოსში მუშაობისათვის და თვით საშხაპე მოწყობილობაც. ორბიტული სახლისათვის, რომელიც უკვე წელიწადნახევარია წარმოადგენს ლაბორატორიას ეკიპაჟების, მათ შორის საერთაშორისო ეკიპაჟების აქტიური მუშაობისათვის, საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს კოსმონავტთა მიერ სამეცნიერო აპარატურის შემადგენლობის განახლებასაც.

მომარაგების ამოცანების გარდა ინჟინრებმა „პროგრეს-5“ სატვირთო ხომალდს დიდმნიშვნელოვანი დინამიკური ოპერაციაც დაავალეს. განპირაპირების წინ მისი ძრავის დანადგარები ორჯერ ჩართეს იმისათვის, რომ „სალუტ-სოიუზის“ მთელი ორბიტული კომპლექსი უფრო მაღალ ორბიტაზე აეყვანათ, ესე იგი გაეხანგრძლივებინათ კოსმოსში სადგურის აქტიური მუშაობის ვადები.

ეკიპაჟის საქმიანობის ახალ ეტაპს მოწმობს ის ფაქტიც, რომ მართვის ცენტრში სულ უფრო მრავალრიცხოვანი ხდება მეცნიერთა და სპეციალისტთა ჯგუფი, რომლებიც კოსმონავტებს კონსულტაციებს უწევენ იმის შესახებ, თუ როგორ მოაწყონ ბიოლოგიური, ტექნოლოგიური, ასტროფიზიკური ექსპერიმენტები.

ორმხრივი სატელევიზიო კავშირის დამყარებასთან ერთად გაიზარდა ინფორმაციის ნაკადი დედამიწასა და სადგურს შორის. ყოველდღიურად ეკიპაჟი ისმენს ახალ ამბებს, ეკითხება დედამიწას, თუ როგორ მიმდინარეობს ქვეყანაში მზადება კომუნისტური შაბათობისათვის.

კოსმონავტთა მომზადების ცენტრში ამას წინათ გამართული პირველი ხუთწლიანი გეგმის 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილი პარტიულ-სამეურნეო აქტივის მონაწილეთა თხოვნით, კოსმონავტთა მომზადების ცენტრის პოლიტგანყოფილების უფროსმა გენერალ-მაიორმა პ. კლიმუკმა ეკიპაჟს ამხანაგების სახელით უსურვა წარმატებით შეესრულებინოთ მეათე ხუთწლედის დიდმნიშვნელოვანი კოსმოსური დავალება. ამ საქმიან საუბარში მონაწილეობდნენ ვარსკვლავეთა ქალაქის მთელი კოლექტივი, მათ შორის ბულგარეთის, უნგრეთის, კუბის, მონღოლეთის, რუმინეთის მომავალი კოსმონავტებიც, რომლებიც მოაწყობენ ერთობლივ ექსპედიციებს საბჭოთა ხომალდებითა და ორბიტული სადგურებით.

ნ. ჟელეზნოვი,
საქდესის სპეც. კორ.
ფრენის მართვის ცენტრი.

დავიცვათ ტყე ხანძრისაგან!

რამდენიმე თვეა აღმოსავლეთ საქართველოში ნალექები არ ყოფილა. მშრალმა ამინდმა გააძლიერა ხანძრის გაჩენის საშიშროება. მაგრამ ამას ბევრი როდი დაუფიქრებია. ახლახანს თბილის-წყლის ავტოტრასაზე სოფელ ბედიანის მახლობლად ვიღაცამ თხრილში გადააგდო ჩაუმქრალი სიგარეტის ნამწვი. ცეცხლი წაეკიდა ხმელ ფოთლებს, მერე ფერდობზე ტყის მიმართულებით გავრცელდა: აგიზგიზდა ცეცხლი.

ტყის მცველმა განგაში ატეხა. საშიშროების სიგნალი ტელეფონით გადაიცა.

რამდენიმე საათში ხანძარმა ციცაბო, ძნელად მისადგომ ფერდობზე შეფენილი 20 ჰექტარი ტყე მოიცვა.

ცეცხლთან საბრძოლველად დაირაზმა რაიონის მთელი მოსახლეობა: კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები, სკოლის მოსწავლეები, სახანძრო რაზმეულების წევრები.

მაგრამ ხანძარი ძლიერდებოდა. ამას ხელი შეუწყო ქარმა, რომლის სიჩქარე წამში 22 მეტრს აღწევდა. ცეცხლი მოედო უკვე ორმოცდაათ ჰექტარ ტყეს. ხანძარი უახლოვდებოდა ფიჭვებს და მისი ჩაქრობა ამ ძნელად მისასვლელ ფერდობზე დიდად სახიფათო იყო. თეთრწყაროელთა დასახმარებლად მეზობელი რაიონების მეტყევეებიც მოვიდნენ.

საერთო ძალებით ხანძრის გავრცელება შეაჩერეს.

ხანძრის ადგილას ჩავიდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. პატარიძე და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. გელდიაშვილი.

— დიდი უბედურება და ზიანი მოაქვს ცეცხლს, როცა ტყის მასივს მოედება, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრმა შ. ჭალაგანიძემ. იღუპება მერქანი, ქვეითდება ნარგავების წყალდამცავი და სანიტარულ-ჰიგიენური თვისებები, ნადგურდება ფრინველების ბუდეები, ცხოველების ბუნაგები. ნახანძრალი ადგილი რამდენიმე ათეული წელი უსიცოცხლო რჩება ან ბუჩქნარით იფარება.

ბრძოლა ხანძართან უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო საქმეა. ამჯერად სტიქიური უბედურება არ გაჩნდებოდა, ყველა მოქალაქე ფრთხილად რომ ეპყრობოდეს ცეცხლს.

(საქინფორმი).

მეცადინეობა — მუზეუმში

აბაშა. (საკ. კორ.). შემოქმედებითად მუშაობს № 84 სოფლის საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელთან შექმნილი რუსული ენისა და ლიტერატურის შემსწავლელი წრე (ხელმძღვანელი — ლ. ძველაია). აქ აქვთ თემატური ალბომები კლასიკური და თანამედროვე რუსული მწერლობის ზოგიერთ ნაწარმოებსა და მათ ავტორებზე, უშვებენ კედლის გაზეთებს, აწყობენ საღამოებს, დისპუტებს.

წრის წევრები იყვნენ მაიაკოვსკიში, მისი სახელობის სახლ-მუზეუმში. აქ მოეწყო მეცადინეობა, რომელმაც კარგად, შთამბეჭდავად ჩაიარა.

მომსახურების სიკეთე

საჩხერე. (საკ. კორ.). სასიამოვნო სიახლეები ინერგება რაიონის მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურებაში. გათვალისწინებულია, რომ ქალაქ საჩხერეში და დიდ სოფლებში მოეწყოს ტრიკოტაჟისა და ავეჯის ნაწარმის გამოფენითი შეკვეთა-გაყიდვის პავილიონები.

ამ სიახლის აზრი ის არის, რომ რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს საწარმოებში დამზადებული ავეჯი და ტრიკოტაჟის ნაწარმი ხელმისაწვდომი გახდეს სოფლის მშრომელებისათვის, ამასთანავე მათ საშუალება მიეცემათ შეუკვეთონ სასურველი ნაკეთობანი.

7 აპრილი ჯანმრთელობის მსოფლიო დღეა!

ბრძოლა ამ სენთან

საბჭოთა კავშირ-ამერიკის გინეკოლოგთა გაერთიანებული თათბირი

თბილისში, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრში დამთავრდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის მეცნიერთა მეორე გაერთიანებული თათბირი, რომელიც გინეკოლოგიური კიბოს ეპიდემიოლოგიური საკითხების შესწავლას მიეძღვნა. თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს მოსკოვის, თბილისის, ტალინის, კიევის, ალმა-ათის, სიმფეროპოლისა და სხვა ქალაქების, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების მთელი რიგი უნივერსიტეტების თვალსაჩინო მეცნიერებმა.

— ეს რიგით მეორე თათბირი გახლავთ, უთხრა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტს საკავშირო სამედიცინო აკადემიის საპრობლემო კომისიის გინეკოლოგიური კიბოს შემსწავლელი საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელმა პროფესორმა **ლ. ჩარკვიანმა**, — პირველი ასეთი თათბირი 1977 წელს გაიმართა ვაშინგტონის შტატის ქალაქ სიეტლში.

დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ამ უკანასკნელ ხანს საშვილოსნოს ყელის კიბოს რაოდენობამ იკლო, მაგრამ, სამაგიეროდ, იმატა სარძევე ჯირკვლების, საკვერცხეებისა და საშვილოსნოს ტანის ავთვისებიანმა სიმსივნეებმა. ფიქრობენ, რომ ამის მიზეზი კიბოს გამომწვევი ფაქტორების გადანაცვლება უნდა იყოს.

სწორედ აღნიშნული მიზეზების შესწავლას მიეძღვნა საბჭოთა კავშირ-ამერიკის მეცნიერთა თათბირი, იგი მიზნად ისახავდა ამ გადანაწილების მიზეზების შესწავლას და სათანადო პროფილაქტიკური ღონისძიებების დასახვას.

რა შეიძლება ითქვას გინეკოლოგიური კიბოს გამომწვევ ფაქტორებზე, რომელიც ხელს უწყობს ავთვისებიანი სიმსივნეების წარმოქმნას?

ეს არის შობადობის ფუნქციის გაუკუღმართება, ძუძუს წოვების შემცირება, ნორმალურად მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესებიდან გადახრა. აქ ბევრი რამ იგულისხმება, გვიან გათხოვება, იშვიათი ორსულობა, მშობიარობა და სხვ.

თათბირზე ორივე ქვეყნის მეცნიერებმა ერთმანეთს გააცნეს გინეკოლოგიური კიბოს ეპიდემიოლოგიის დარგში მიღებული კვლევითი ინფორმაცია. ცხადი გახდა, რომ გინეკოლოგიური კიბოს კვლევის დარგში მთელი რიგი წარმატებები აქვთ როგორც საბჭოთა, ისე ამერიკელ მეცნიერებს.

მაგალითად, ქალაქ ბალტიმორის ჰოპკინსის უნივერსიტეტის მეცნიერმა ლ. აურელიანმა თათბირის მონაწილეებს გააცნო მის მიერ ჩატარებული კვლევის (ჰერპეს ვირუსის შესაძლო როლი საშვილოსნოს ყელის კიბოს წარმოქმნაში) შედეგები. ამ მიმართულებით იწარმოებს შემდგომი ერთობლივი კვლევა.

ამ თათბირზე გადაწყდა — დადონ ხელშეკრულება საკვერცხეებისა და საშვილოსნოს ტანის ავთვისებიან სიმსივნეების ეპიდემიოლოგიური ერთობლივი კვლევის შესახებ; გამოაქვეყნონ ორივე ქვეყნის მეცნიერთა სამეცნიერო შრომები, მოაწყონ გაერთიანებული სიმპოზიუმები, და მიღწეული შედეგები სამედიცინო პრესაში გააშუქონ.

დაისახა მრავალი ღონისძიება პრაქტიკული მედიცინის დარგში ამ საშიში სენის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ფრინველი — ჩვენი ბუნების სიმდიდრე

გუნდი და გუნდი ფრთოსანთა

დადგა თბილი დღეები. სულ მალე მერცხლები მოფრინდებიან და გაზაფხულიც დამკვიდრდება. უკვე მოფრინდნენ თბილი ქვეყნებიდან ყარყატი და ლაკლაკი, წერო და ტოროლა, ბოლოცეცხლა და კვირიონი, ოფოფი და ყარანა, მემატლიები. გადაიფრინეს და ჩრდილოეთისკენ წავიდნენ ღერღეტები და იხვები, კოკორინები. ზოგი ფრინველი უკვე დიდი ხანია, რაც შეუდგა ბარტყების გამოჩეკას. ზამთრის სუსხს არ შეეპუა და თებერვალში გამოჩეკა ბარტყები ნისკარტმარწუხამ, ზარნაშომ დადო კვერცხები. მარტში დაიბუდეს ბუმ, კრავიჭამიამ, კაკაბმა, ყვავმა, მთის არწივმა, ორბმა და სვავმა.

ფრინველები ოდითგანვე იპყრობდნენ ადამიანთა ყურადღებას. მათ მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირათ ეგვიპტურ იეროგლიფებში, სხვადასხვაგვარ ჰერალდიკურ და საგვარეულო ნიშნებში.. ადამიანი ფრინველს სხვადასხვა გრძნობისა თუ მოვლენის სიმბოლოდ სახავდა: კდემამოსილებისა და ოჯახური სიმტკიცის სიმბოლოდ გედი აღიარეს, მშვიდობისა და სინაზის სიმბოლოდ — მტრედი, სიბრძნისა — ბუ, შეუპოვრობის და მამაცობისა — შავარდენი, გაუმაძღრობისა — სვავი, სიამაყისა და ზვიადობისა — ფრინველთ მეფე — არწივი, ყიამყრალობისა — ყვანჩალა, ყვავი, ჭორიკანობის და მეტიჩრობისა — კაჭკაჭი, აღორძინების სიმბოლოდ— ზღაპრული ფრინველი ფენიქსი.

ხალხმა ლამაზი ლეგენდები შექმნა იმის შესახებ, თუ როგორ გადაარჩინეს ღერღეტებმა რომი; თბილისის დაარსებაც ხომ ხოხობთან და შავარდენთან არის დაკავშირებული...

ჩვენი მხარე მდიდარია ფრინველებით, მაგრამ დაკვირვებული კაცი შეამჩნევს, რომ ამ ბოლო წლებში ჩვენი ტყე-ველი ფრინველთა ჩვეული ჟრიამულითა და ზარ-ზეიმით აღარა გვხვდება, ზოგ ადგილას კი ბუნება სულ დამუნჯებულა. ამის მიზეზი ბევრია: ბოროტი ადამიანები უმოწყალოდ ხოცავენ ფრინველს, უნგრევენ ბუდეებს, უსპობენ კვერცხებს; ზოგ ფრინველს აღარა აქვს საბინადრო ადგილსამყოფელი — ადამიანი სულ უფრო და უფრო მეტად იყენებს ბუნებრივ სავარგულებს, გარდაქმნის ბუნებას, თავის სამსახურში აყენებს მას. შეწამლული თესლი, შხამქიმიკატები უარყოფითად მოქმედებს ფრინველებზე. საჭირო გახდა საგანგებო ღონისძიებები, და აი რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ ჩვენი მეცნიერების წარდგინებით მიიღო დადგენილება „წითელი წიგნის“ გამოცემის შესახებ, რომელშიც შეტანილია იშვიათი და ამოწყდომის საშიშროების წინაშე მდგარი ნადირ-ფრინველი და მცენარეები. ფრინველებიდან ამ წიგნში 33 სახეობის წარმომადგენელია შესული ,ესენია: დურაჯი, როჭო, გნოლი, კასპიური, შურთხი, ხონთქრის ქათამი, წერო, ყარყატი ანუ იმხვარი, დიდი ოყარი; ზოგიერთი მტაცებელი ფრინველი, რომელთა რიცხვმა ბოლო დროს კატასტროფულად იკლო — შავარდენი, ფსოვი, ორბი, სვავი, კრავიჭამია, მთის არწივი, ბეგობის არწივი, გველიჭამია არწივი; „წითელ წიგნში“ შეტანილია ლოკალური გავრცელების, მცირერიცხოვანი პატარა ჩიტებიც — კოჭობურა, ულვაშიანი წიწკანა, წითელთავა ნარჩიტა, დიდი კოჭობა, წითელთავა ღაჟო, წითური ასპუჭაკა, რომელიც მხოლოდ ვაშლოვანის ნაკრძალში ბინადრობს, წითელმუცელა ბოლოცეცხლა. ამ წიგნში შეტანილია ისეთი ფრინველებიც, რომლებიც ჩვენში მხოლოდ მიმოფრენისას ან ზამთრობით გვხვდებიან; ასეთებია — გედები, სავათი, სარსარაკი, პატარა ოყარი, ველის არწივი, ბარი ანუ გავაზი.

ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ ფრინველი ბუნების ის აუწონელი სიმდიდრეა, რომელიც მას არა მარტო სილამაზეს, არამედ სიცოცხლეს ანიჭებს.



რ. ჟორდანია,
ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

სურათებზე: ფრინველთა ნორჩი ქომაგი; „ბუნების მელოდია“.
მ. ჩაჩუას და ზ. დათუაშვილის ფოტო.

გამარჯობა, სპარტაკიადავ!

(დასასრული)

ყველა ნებაყოფლობითმა სპორტულმა საზოგადოებამ წარმოადგინა თავისი საუკეთესო სპორტსმენები ამ დღესასწაულზე. მათ შორის იყვნენ ისინი, ვისაც არაერთხელ დაუცავს საქართველოს სპორტული ღირსება საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებზე — სსრ კავშირის, მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიურ ასპარეზობათა ჩემპიონები, ისინიც, ვინც პირველად სცდის ძალას დიდ სპორტში, როცა საქალაქო სპარტაკიადის ფინალურ სტარტებში მონაწილეობს.

...ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი — საქართველოს დედაქალაქის სპორტული ნაგებობა — მორთულია დროშებით, წითელი ტრანსპარანტებით.



სურათზე: დედაქალაქის სპარტაკიადის მონაწილენი საზეიმო აღლუმზე. გ. გოგოხიას ფოტო.

18 საათი და 10 წუთია. ქუხს ფანფარები, სტადიონის სარბენ ბილიკზე შემოდიან მედროშენი, პარადს ხსნის მედოლეთა კოლონა. მოდიან ქართული სპორტის განთქმული ვეტერანები, საქალაქო სპარტაკიადის მსაჯები. მწყობრი ნაბიჯით ჩაიარეს სპარტაკიადის ფინალური სტარტების მონაწილე სპორტსმენთა კოლონებმა. პარადის მონაწილენი სტადიონის ცენტრალური ტრიბუნის წინ ჩამწკრივდნენ.

სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. გაბუნია მიესალმა შეჯიბრების მონაწილეებს. საქართველოს დედაქალაქის VII სპარტაკიადა გახსნილად ცხადდება.

სტადიონის მწვანე მოედანზე გამოდიან ტყავის ბურთის ოსტატები. სპორტული დღესასწაულის ნამდვილი მშვენება გახდა სსრ კავშირისა და საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა.

(საქინფორმი).

ლიდერობენ არმიელები

რიგაში და ლვოვში გრძელდება ხელბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის პროგრამით გათვალისწინებული ტურნირები.

რიგაში გამართულ მესამე დღის მატჩში თბილისის „ბურევესტნიკი“ დამარცხდა კიევის არმიელთა გუნდთან — 17:25. ზაპოროჟიეს ინდუსტრიული ინსტიტუტის კოლექტივმა წააგო შეხვედრა კაუნასის „გრანიტასთან“ — 20:28, ცსკამ მოუგო რიგის „ცელტნიექს“ — 31:27.

ლვოვში მესამე დღის შეხვედრები ასე დამთავრდა: „ალუმინსტროი“ (ზაპოროჟიე)-სკა (მინსკი) — 18:17, ფიზკულტურის ინსტიტუტი (კრასნოდარი)-საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი) — 31:32, „კუნცევო“ (მოსკოვი)-სკა (ლვოვი) — 26:19.

თოთხმეტი ტურის შემდეგ კვლავ ლიდერობს ცსკა — 28 ქულა. თბილისის „ბურევესტნიკი“ 16 ქულით მეექვსე ადგილზეა.

მიზანი: მზადება

საქართველოს (ნაკრები) — სსრ კავშირის (ნაკრები) — 0:3 (0:1)

თბილისი, 6 აპრილი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი.

საქართველო: გაბელია, ხიზანიშვილი, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, გ. მაჩაიძე, მუჯირი, მ. მაჩაიძე, ჭილაია, ჩელებაძე, ყიფიანი (მინაშვილი) ბოლქვაძე (კოპალეიშვილი).

სსრ კავშირი: გონტარი (რომენსკი), პრიგოდა (კოსტავა), ჟუპიკოვი მახოვიკოვი, ბუბნოვი, დარასელია, ხიდიატულინი, ქორიძე (გავრილოვი), გუცაევი, გაზაევი, ბლოხინი (შენგელია).

მსაჯი — ე. აზიმ-ზადე (ბაქო).

გოლები — გაზაევი (27-ე და 87-ე წუთებზე), შენგელია (65-ე წუთზე).

ამ მატჩში თბილისის დინამოელები ორივე ნაკრებს მოემსახურნენ: საქართველოს გუნდი მთლიანად დინამოელებით იყო დაკომპლექტებული, ხოლო სსრ კავშირის მთავარი ნაკრების ღირსებას 5 თბილისელი იცავდა. თითეულ გუნდს განსხვავებული ამოცანა აქვს: სსრ კავშირის ნაკრებმა გზა უნდა გაიკაფოს ევროპის ჩემპიონატის ფინალისაკენ და პასუხსაგები მატჩებისათვის ემზადება. საქართველოს ნაკრებისთვის კი ეს ერთგვარი რეპეტიცია გახლდათ მოახლოებული სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის წინ. მასპინძელთა გუნდის ხელმძღვანელებს არცთუ ურიგო საშუალება მიეცათ უფრო სწორად დასახონ სპარტაკიადაში გამოსვლის სტრატეგიული გეგმა.

ამ საწვრთნელ-საკონტროლო მატჩში უფრო აქტიურად მასპინძლები მოქმედებდნენ, მაგრამ დაცვაში არცთუ უშეცდომოდ თამაშის შედეგად საკუთარ კარში სამი ბურთი მიიღეს. მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ დინამოელებმა შესუსტებული შემადგენლობითაც არ დატოვეს ურიგო შთაბეჭდილება. გუნდის მწყობრში ყიფიანის გამოჩენამ დინამოელთა თამაშს მეტი ჰაერი შემატა.

მთავარი ნაკრების მწვრთნელის ნ. სიმონიანის აზრით, საქართველოს ნაკრებთან შეხვედრა ძალების კარგი შემოწმება იყო. მან თქვა ისიც, რომ იგი მადლობას უხდის თბილისელებს გულთბილი მიღებისა და ყურადღებისათვის.

ჯ. ენუქიძე.

ბონდო შანიძის სახელობისა

დღეს თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე იწყება საქართველოს მეხუთე ღია ჩემპიონატი სახანძრო-გამოყენებით სპორტში რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონის, სპორტის ოსტატ ბონდო შანიძის პრიზზე.

შეჯიბრების პირველი დღის პროგრამაში 100-მეტრიან დაბრკოლებათა ზოლის გადალახვა და 4X100 მეტრზე სახანძრო ესტაფეტა. მეორე დღეს მეხანძრეები საიერიშო კიბით სასწავლო კოშკის მე-4 სართულზე ასვლაში შეეჯიბრებიან ერთმანეთს.

ცნობა ბიდგოშჩიდან

პოლონეთის ქალაქ ბიდგოშჩში გრძელდება მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირი. მერვე ტურში ნანა იოსელიანი დამარცხდა რუმინელ მარგარიტა ტეოდორესკუსთან. სამაგიეროდ, გაიმარჯვა ნინო გურიელმა. მან დაამარცხა პოლონელი ელჟბეტა კოვალსკა. ტურნირის ერთ-ერთი ლიდერი, რუმინელი ვიორიკა ილიე შეხვდა უნგრელ ევა კარაკაშს. პარტია გადაიდო. ახლა ილიეს, იოსელიანს და გურიელს 5,5-5,5 ქულა აქვთ.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

საქართველოს ტელევიზიის ერთი კვირის პროგრამა

☐ 9 აპრილი

პირველი პროგრამით: 17.00 — მოსწავლეთათვის — საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია (ფ.), 17.30 — განცხადებები (ფ.), 17.35 — აბიტურიენტთათვის — ბიოლოგია, 18.05 — „კინოდოკუმენტალისტთა პლენუმის შესახვედრად“. ქართული დოკუმენტური ფილმები: „გულახდილი საუბარი“, „სიჩუმე, სიჩუმე“, 18.30 — „ვესტნიკი“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 19.00 — „ხუთწლედი — წელი მეოთხე“ (მ.), 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „ეტალონთა კლუბი“ — „ადამიანი უპირველეს ყოვლისა“ (ფ.), 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 21.30 — ძველებური ინგლისური მუსიკა (ფ.), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — კარლო კალაძის პოეზიის საღამო მოსკოვში (ფ.).

მეორე პროგრამით: 18.00 — მერვეკლასელთათვის ფიზიკა (ფ.), 18.45 — განცხადებები (ფ.), 18.50 — სტუდენტებისათვის — ფილოსოფია (ფ.), 19.35 — მხატვრული ფილმი „მე, ტიან-შანი“, პირველი სერია, 20.40 — დოკუმენტური ფილმი „პოემა მუშათა კლასზე“.

☐ 10 აპრილი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 17.00 — აბიტურიენტთათვის — ქართული ენა (ფ.), 17.30 — განცხადებები (ფ.), 17.35 — შევისწავლოთ ინგლისური ენა, 18.00 — კინოდოკუმენტალისტთა პლენუმის შესახვედრად“ — ქართული დოკუმენტური ფილმების პროგრამა. „ჟღერს ქვის ჰარმონია“, „ქართული აბრეშუმი“, „რევაზ ლაღიძე“, 18.55 — „ღვაწლმოსილი მეცნიერი“ — აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი, 19.25— „ვერნისაჟი“ (მხატვრის კვირეული), 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „სპორტული კალეიდოსკოპი“ (ფ.), 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 21.30 — „მღერის „გარეჯი“ (ფ.), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — მუსიკალური ფილმების სატელევიზიო ფესტივალი. „სიმღერა ეკრანზე“.

მეორე პროგრამით: 18.00 — სტუდენტთათვის — თეორიული მექანიკა (ფ.), 18.45 — განცხადებები (ფ.), 18.50 — კონცერტი, 19.20 —მხატვრული ფილმი „მე, ტიან-შანი“. მეორე სერია, 20.25 — დოკუმენტური ფილმი „სიცილის ამოცანები და...“.

☐ 11 აპრილი

პირველი პროგრამით: 09.00 „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 16.55 — აბიტურიენტთათვის მათემატიკა (ფ.), 17.25 — შევისწავლოთ გერმანული ენა, 17.55 — კოსმონავტიკის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება. ტრანსლაცია კავშირების სახლის სვეტებიანი დარბაზიდან, 19.15 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე. „დინამო“ (კიევი)-„დინამო“ (თბილისი). ტრანსლაცია კიევიდან, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — ქართული მხატვრული ფილმი „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“.

მეორე პროგრამით: 18.00 — სტუდენტებისათვის — მასალათა გამძლეობა (ფ.), 18.45 — განცხადებები (ფ.), 18.50 — მოსწავლეთათვის — საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია (ფ.), 19.35 — „კინო და კომპოზიტორი“ (განმეორებით), 20.20 — მხატვრული ფილმი „ეფი ბრისტი“, 21.25 — კინონარკვევი.

☐ 12 აპრილი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — კინონარკვევი, 10.00 — მეცხრეკლასელთათვის — ფიზიკა (ფ.), 17.00 — აბიტურიენტთათვის — ფიზიკა (ფ.), 17.30 — განცხადებები (ფ.), 17.35 — უმცროსკლასელთათვის — ჩვენ ვსწავლობთ რუსულ ენას, 18.05 — კინოდოკუმენტალისტთა პლენუმის შესახვედრად“ — ქართული დოკუმენტური ფილმი „პირველი ხელთათმანი“, 18.20 — „გმადლობთ, ამხანაგო გენერალო!“ (განმეორებით), 19.00 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი“ (მ.), 19.30 — მულტიპლიკაციური ფილმი, 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „ლეგენდად ქცეული ფრენა“ (ქართულ ენაზე. (ფ.), 20.30 — „საესტრადო პანორამა“ (ფ.), 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 21.30 — „კინომემატიანენი“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — საბჭოთა კავშირში პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურის დღეების დახურვა. კონცერტი სახელმწიფო ცენტრალური საკონცერტო დარბაზიდან.

მეორე პროგრამით: 18.00 — მოსწავლეთათვის — ქართული ენა (ფ.), 18.30 — განცხადებები (ფ.), 18.35 — სტუდენტებისათვის — მექანიზმებისა და მანქანების თეორია (ფ.), 19.20 — კინონარკვევი, 19.40 — მეათეკლასელთათვის — ფიზიკა (ფ.), 20.25 — დოკუმენტური ფილმი — „იური გაგარინი“, 21.15 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მგზავრი“.

☐ 13 აპრილი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 17.00 — აბიტურიენტთათვის — ქიმია (ფ.), 17.30 — განცხადებები (ფ.), 17.35 — შევისწავლოთ ფრანგული ენა, 18.05 — მოსწავლეთათვის — „ქართული თეატრის წარსულიდან“. გადაცემა მეხუთე (ფ.), 18.40 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმები „მზიანეთი“, „არლანი“, 19.15 — „შემაგებოდეს ლაშქარსა“ — „ტელეეკრანის ახალი გმირი“ (ფ.), 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — საბჭოთა მეცნიერების დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომის ვიდეოჩანაწერი ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრიდან, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 21.30 — „ქართული ხალხური სიმღერები“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „გამარჯობათ, მე თქვენი დეიდა ვარ“ (მ.).

მეორე პროგრამით: 18.00 — მასწავლებლის საათი — ქიმია (ფ.), 18.45 — განცხადებები (ფ.), 18.50 — მულტიპლიკაციური ფილმები, 19.20 — ქართული მხატვრული ფილმი „მოიტაცეს თამარ-ქალი“ (ფ.), 20.25 — კინონარკვევი, 21.00 — „გეპატიჟებით საკონცერტო დარბაზში“ — ბიბი კინგი (განმეორებით. (ფ.),

☐ 14 აპრილი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — კინონარკვევი, 10.00 — შევისწავლოთ ქართული ენა (ფ.), 10.30 — ქართული დოკუმენტური ფილმები: „ივანე ჯავახიშვილი“, „შალვა ნუცუბიძე“, 11.30 — მულტიპლიკაციური ფილმი, 11.45 — „თქვენთვის, მშობლებო!“ (მ.), 12.15 — „დილის ფოსტა“ — მუსიკალური პროგრამა (მ.), 12.45 — მოსწავლეთათვის — „საგურნი“. ფინალური შეხვედრა (განმეორებით. (ფ.), 14.20 — „ბუნების კარი“ (ფ.), 15.05 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 15.50 — კონსტიტუცია ცხოვრობს, მოქმედებს“, 16.25 — მუსიკალური ფილმების სატელევიზიო ფესტივალი — „სიმღერა ეკრანზე“. ქართული მხატვრული ფილმი — „მხიარული რომანი“, 17.35 — სატელევიზიო ფილმი — „ძმურ ოჯახში“, 17.50 — „საბჭოთა მეცნიერების დღე“, 18.50 — დოკუმენტური ფილმი, 19.00 — „უკრავს საქართველოს კამერული ორკესტრი“, 19.35 — „სატელევიზიო მისალმების ფოსტა“, 20.05 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ილია ვეკუა“, 20.25 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 20.55 — რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. პირველი მოქმედება (ფ.), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, მეორე მოქმედება (ფ.),23.30 — „საზღვარგარეთის ესტრადის რიტმები და მელოდიები“ (ფ.),

მეორე პროგრამით: 17.00 — დოკუმენტური ფილმი — „მოგითხრობთ მოსკოვზე“ (ფ.), 18.00 — კონცერტი, 18.40 — მულტიპლიკაციური ფილმები, 19.10 — ქართული მხატვრული ფილმი — „ანარეკლი“, 20.25 — დოკუმენტური ფილმი — „ქვეყანა და მეცნიერება“ (ფ.).

☐ 15 აპრილი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — ქართული დოკუმენტური ფილმი — „ნიკო კეცხოველი“, 10.00 — შევისწავლოთ რუსული ენა (ფ.), 10.30 — „მალვიდარა“ (მ.), 11.00 — „ცეროდენას ეკრანი“, (ქართულ ენაზე. ფ.),11.20 — გულკურსელთათვის — ქართული ენა (ფ.), 11.50 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ნიკო მუსხელიშვილი“, 12.00 — „სტუმრად ზღაპართან“ — გერმანული მხატვრული ფილმი „ოქროს ბატი“ (მ.), 13.30 — „კინოაფიშა“, 14.00 — მოსწავლეთათვის „ნორჩ წიგნის მოყვარულთა კლუბი“, 14.30 — „მუსიკალური კიოსკი“ (მ.), 15.00 — „დღეს საბჭოთა მეცნიერების დღეა“ (მ.), 15.45 — „მსოფლიოს ქალაქი-მუზეუმები“ (ფ.), 16.15 — მულტიპლიკაციური ფილმი (ფ.), 16.25 — „ჩვენი სოფელი“ — სატელევიზიო პროგრამა, 17.10 — „საერთაშორისო პანორამა“ (მ.), 17.55 — „კინოს მოყვარულთათვის“, 18.55 — „როგორია თქვენი აზრი“ (ფ.), 19.25 — მუსიკალური ფილმების სატელევიზიო ფესტივალი. „სიმღერა ეკრანზე“ — ქართული მხატვრული ფილმი — „ქეთო და კოტე“, 20.55 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 21.25 — „თქვენი თხოვნით“. საესტრადო კონცერტი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — მსოფლიო პირველობა ჰოკეიში. კანადისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გუნდები (მ.).

მეორე პროგრამით: 17.00 — „ბავშვის საერთაშორისო წელი“, მხატვრული ფილმი „სპორტი, სპორტი, სპორტი“, 18.25 — კონცერტი, 19.05 — სატელევიზიო სპექტაკლი „ირკუტსკის ისტორია“, 21.15 — კინონარკვევი.

ტელევიზია

7 აპრილი

პირველი პროგრამით

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — კინონარკვევი, 10.05 — შევისწავლოთ ქართული ენა (ფ.), 10.35 — ქართული მულტიპლიკაციური ფილმები: „ეკა და ბეკეკა“, „უჭკვიო დათუნია“ (ფ.), 10.55 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმები: „ბიჭი და ჩიტი“, „პაპა და პატარა მედოლე“, 11.30 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „მოძრაობა და ჯანმრთელობა“ (ქართულ ენაზე), 11.40 — „თქვენთვის, მშობლებო“ (მ.), 12.10 — „დილის ფოსტა“ — მუსიკალური პროგრამა (მ.), 12.40 — „მარჯანიშვილის თეატრი-50“ — „მოგონებები, უშანგი ჩხეიძეზე“ (განმეორებით. ფ.)., 14.30 — 60 წელი ჯანმრთელობის სადარაჯოზე“, 15.00 — კინონარკვევი, 15.10 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ.), 15.55 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 16.45 — „ახალგაზრდობა“ — სატელევიზიო პროგრამა, 17.30 — „ცხოველთა სამყაროში“ (მ.), 18.30 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა (მ.), 19.00 — „მეცნიერების სამყაროში“ (ქართველი ქიმიკოსების მიღწევები), 19.30 — დოკუმენტური ფილმი „სატყეო მრეწველობა“ (ფ.), 19.45 — მუსიკალური ფილმების სატელევიზიო ფესტივალი — „სიმღერა ეკრანზე“, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 21.30 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — ახალგაზრდული ზეიმი (განმეორებით).

თეატრი

7 აპრილი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **ტრავიატა** (მე-16 აბონ. II წარმ.): რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **პეპო**; მცირე დარბაზი — **ჩემო კალამო**; კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **დიდი იმედები**; ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის —**პაემანი ცაში** (დღისით და საღამოს); მინიატიურების სახელმწიფო — **ეშმაკის კუდი**; მეტეხის თეატრი — **სამგროშიანი ოპერა**; რუსთავის სახელმწიფო დრამატული (რკინიგზელთა სახლში. პლეხანოვის გამზ. № 127-ა) — **ცილინდრი**; კინოსტუდია „ქართული ფილმის“ თეატრალური სახელოსნო — **კარებს აჯახუნებენ**.

კომუნისტი
ჩვენი მისამართი და ტელეფონებია:
380096 თბილისი-96,
ლენინის 14.



რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის — 93-95-98, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისაღების — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 431-08-52; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; გორი — 2-33-10; ახალციხე — 2-03-15; ზუგდიდი — 28-40; ცხაკაია — 2-23-44; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 27-58; თელავი — 12-09; წითელწყარო — 23-66; ტყიბული — 25-82.



საქართველოს კპ ცკ-ის
გამომცემლობის სტამბა,
380096, თბილისი-96,
ლენინის ქ. 14.

იბეჭდება ოფსეტური
წესით საგაზეთო
კორპუსში, ხოშარაულის, 29.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 ● 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 ● უე 02116